www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 28 ივლისი, 2003 წელი. №204 (416) | ფასი 30 თეთრი

# შიმშილობა შეწყდა



იური მეჩითოვის ფოტო

"დიდი მადლობა, შვილო..."

სოფო ბუკია

**"დიდი მადლობა, შვილო, ჩვენს გამო რომ ასე დაიტანჯეთ, დიდი მადლობა,"** – თორმეტდღიანი შიმშილობის შემდეგ, გუშინ, დღის ორ საათზე იუსტიციის სამინისტროდან გამოსულ "ნაციონალებს" მადლიერ პენსიონერთა ორასკაციანი ჯარი წითელი ვარდებითა და "მადლობა, მადლობას" სკანდირებით შეეგება.

შიმშილობის შეწყვეტის მიზეზი საპენსიო დავალიანებების გასტუმრების შესახებ გუშინ დილით პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი განკარგულება გახდა.

**"საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ კანონმდებლობით დადგენილი წესით უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს საპენსიო დავალიანებების დაფარვის შესახებ კანონიერად ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის სათანადო თანხის გამოყოფა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისათვის,"** – ნათქვამია პრეზიდენტის განკარგულებაში, სადაც **"ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად საპენსიო უზრუნველყოფა"** ცხადდება, დაგროვილი საპენსიო დავალიანების მიზეზად კი **"ბოლო წლებში გარე და შიდა ეკონომიკური შოკები"** სახელდება.

ამ განკარგულების თანახმად, საქართველოს ექვსი რაიონისა და ორი ქალაქის (კასპი, საგარეჯო, გურჯაანი, ბაღდათი, ცაგერი, ამბროლაური, სამტრედია, რუსთავი, ქუთაისი) 9 ათას 806 პენსიონერი 1998-1999 წლების საპენსიო დავალიანებას — 1.207.344 ლარს მიიღებს. პრეზიდენტის განკარგულებით, ასევე დაიწყება მიმდინარე საპენსიო დავალიანებების დაფარვა, რომელმაც 2003 წლის მარტიდან 30 მლნ ლარი შეადგინა. მიმდინარე დავალიანება, შესაძლოა, ობლიგაციების სახითაც დაიფაროს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# „ჩვენსა და BP-ის შორის ქართველი მგლები დგანან"

ხვანელები საცხოვრებელი უფლებების დაცვას ითხოვენ

სოფიკო ოხანაშვილი

*ორშაბათს იწურება ერთკვირიანი ვადა, რომელიც ახალციხის რაიონის სხვილისის საკრებულოს სოფელი ხვანას სამოსახლო მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებმა ნავთობკომპანიის, "ბრიტიშ პეტროლიუმის" (BP) ხელმძღვანელობას მისცეს. თუ BP ერთი კვირის განმავლობაში არ დააკმაყოფილებს მესაკუთრეების მოთხოვნას, ისინი სასამართლოში ჩივილით, ახალციხეში, BP-ისა და საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის (GIOC) ოფისების წინ გამაფრთხილებელი აქციების გამართვით, საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების მიპყრობითა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის შეფერხებით იმუქრებიან. "ან სხვა მარშრუტით წაიყვანონ ეგ მილსადენი, ან თუ მაინცდამაინც ჩვენ სამოსახლო ტერიტორიაზე უნდა გაიაროს, მაშინ საკარმიდამო მიწის კატეგორიის შესაბამისი კომპენსაცია მოგვცენ, ან სამოსახლო ნაკვეთები დაგვირიგონ. ჩვენ სხვა საცხოვრებელი ადგილი არ გაგვაჩნია", - ასეთია ახალციხის რაიონის სხვილისის საკრებულოს სოფელი ხვანას სამოსახლო მიწის 100 ნაკვეთის მესაკუთრეების პოზიცია, რომლის დათმობასაც ისინი არ აპირებენ. BP-ის და GIOC-ის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ მიწებისათვის კატეგორიების შეცვლა მათ კომპეტენციაში არ შედის და ისინი უკმაყოფილო მოსახლეობას სადავო საკითხების მოსაგვარებლად, ერთგვარად, ურჩევენ კიდეც სასამართლოს მიმართონ.*

გაგრძელება A2 გვერდზე

# სჭირდება თუ არა საქართველოს ორი ფლოტი

*საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით საზღვაო სახელმწიფოა, რაც, მისი თავდაცვისუნარიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, სამხედრო-საზღვაო ძალების არსებობის აუცილებლობას განაპირობებს. მაგრამ ამ სტრატეგიული მოთხოვნილების გათვალისწინებითაც კი ძნელი სათქმელია, სჭირდება თუ არა შეზღუდული საბიუჯეტო შესაძლებლობების მქონე საქართველოს ორ სხვადასხვა უწყებაში გაფანტული, ორი სამხედრო-საზღვაო ძალა, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთის დუბლირებას ახდენენ.*

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება", სპეციალურად "24 საათისთვის"

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შემდეგ, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს მეორე ადგილი უკავია ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან გამოყოფილი დახმარების მოცულობით. 1999 წლიდან მოყოლებული, სახელმწიფო დეპარტამენტმა, პენტაგონმა და ამერიკის სანაპირო დაცვის სამსახურმა დაახლოებით 20 მილიონი დოლარის ღირებულების მატერიალურ-ტექნიკური საშუალება და აღჭურვილობა გადასცეს ქართველ მესაზღვრეებს.

2002 წელს კი საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა ამერიკიდან პირველად მიიღო საბრძოლო ტექნიკა - საპატრულო-სადარაჯო კატარღა და ან-28 ტიპის მსუბუქი საპატრულო თვითმფრინავი, რომლის ეკიპაჟის მომზადებისა და რემონტის ხარჯებიც ამერიკულმა მხარემ გაიღო. როგორც სანაპირო დაცვის საკითხებში საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ამერიკელმა მრჩეველმა ჯონ ტრამბოლმა განაცხადა, მიმდინარე წელს დახმარების მოცულობა 17 მილიონ ლარს შეადგენს და რამდენიმე პრიორიტეტული პროგრამის განხორციელებაზე დაიხარჯება.

**"ეს დახმარება წელს უფრო თვალსაჩინო იქნება და გამოიხატება "გრიფის" ტიპის კატარღის რეკონსტრუქციით. ეს არის ერთ-ერთი იმ ხუთი კატარღიდან, რომლის აღდგენაც აშშ-ს სამომავლოდ აქვს ჩაფიქრებული. თანაც ეს ხდება საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მიერ შემოთავაზებული წინადადებით და არა სხვების კარნახით,"** - აცხადებს ჯონ ტრამბოლი.

გაგრძელება A2 გვერდზე



სხვადასხვა უწყებაში გაფანტული, ორი სამხედრო-საზღვაო ძალა, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთის დუბლირებას ახდენენ.

# "რაო ეეს როსსიისა" და "გაზპრომის" გაუცხადებელი ინტერესები

მაია ურუშაძე

*მიუხედავად იმისა, რომ კომუნალური მომსახურების სფეროს ინვესტირების საკითხი რუსეთის ბოლოდროინდელი ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ თემად იქცა, "რაო ეეს როსსიისა" და "გაზპრომის" საქართველოში შემოსვლაზე საუბრისას, რატომღაც, ეს საკითხი საქართველოს სახელისუფლებო წრეების ყურადღების მიღმა რჩება. აშკარაა, რომ ამ თემაზე საუბარს დღეს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროშიც ერიდებიან. თუმცა, ამ სფეროზე ინტერესების გამძაფრებისა და ყურადღების გამახვილების ტენდენციები ქართულ ეკონომიკაში აშკარად შეიმჩნევა: თუ "თელასი" – "რაო ეეს როსსიის", ხოლო "თბილგაზი" – "გაზპრომთან" დამეგობრებულ გაზის საერთაშორისო კორპორაციის შვილობილ "ახალ მენეჯმენტს" გადაეცა, ბუნებრივია, რომ საკმაოდ მომგებიანი სექტორი – თბილისის კომუნალური მომსახურების სფერო, თავისთავად აღმოჩნდება ე.წ. "რუსეთის კომუნალური სისტემების" ხელში.*

კომუნალური სფეროთი "რაო ეეს როსსიისა" და "გაზპრომის" დაინტერესების შესახებ ხმამაღლა ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში ითქვა. თუმცა, ეს მიზნები პრეზიდენტ პუტინის მიერ კონტროლირებადმა ენერგოგიგანტებმა გაცილებით ადრე – ჯერ კიდევ გასულ წელს დაისახეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც პუტინის "ხელდასხმულმა" კომპანიებმა საკუთარი უახლოესი 10 წლის სტრატეგიები შეიმუშავეს. ბუნებრივია, ეს ყველაფერი უშუალოდ პუტინის მითითებით მოხდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# აზერბაიჯანის ოპოზიციამ ხელისუფლების რისხვა დაიმსახურა

"ჩვენ შეგვეძლო დაგვესაჯა ოპოზიციის ლიდერები ასეთი ულირსი საქციელისათვის, მაგრამ ისიც საკმარისია, რომ აზერბაიჯანელი ხალხი მათ არაფრად აგდებს," - განაცხადა აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრმა რამილ უსუბოვმა.

A4

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 27 |
| ბათუმი | 27 |
| სოხუმი | 32 |
| ქუთაისი | 32 |
| გორი | 32 |
| ცხინვალი | 26 |
| თელავი | 30 |
| ონი | 25 |
| საგარეჯო | 31 |
| სამტრედია | 35 |
| ლაგოდეხი | 29 |
| დუშეთი | 25 |
| მანგლისი | 25 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1400 |
| ევრო | 2.4625 |
| გირვანქა სტერლ | 3.4452 |
| რუბლი | 0.0705 |

# ექსმოქალაქური ტრიადა და ნინო ბურჯანაძის ოპოზიციური ხიბლი

გოგა ოქროპირიძე

მოქალაქეთა კავშირის წიაღში აღმოცენებული პოლიტიკური ძალების წინასაარჩევნო გაერთიანება ნინო ბურჯანაძის მეთაურობით ვერ შედგა და, ალბათ, ვერც შედგება. "ახალი მემარჯვენეების", "ნაციონალური მოძრაობისა" და "გაერთიანებული დემოკრატების" ხელახალ "დაახლოებას" მოჭარბებულმა ამბიციებმა და ნდობის დეფიციტმა შეუშალა ხელი. როგორც ჩანს, მათ პოსტშევარდნაძისეულ ეპოქაში დასარჩენად ბრძოლა ცალ-ცალკე მოუწევთ.

## "ახლების" რუბიკონი

პირველი მნიშვნელოვანი განაცხადი ოპოზიციის დიდი გაერთიანების წინააღმდეგ "ახალმა მემარჯვენეებმა" გააკეთეს. მათ ცალსახად დააფიქსირეს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად გამოსვლის სურვილი. "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერის, ზურაბ ჟვანიას მცდელობა, ნებისმიერი მეთოდებით ერთიან საარჩევნო ბლოკში შესულიყო ამ ძალასთან, წარუმატებლად დასრულდა. როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, შესაძლოა, "ახლებმა" ნაჩქარევი ნაბიჯი გადადგეს.

"ახალმა მემარჯვენეებმა" "მოქალაქეთა კავშირის" დაშლასა და საპარლამენტო გადაჯგუფებებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. მათმა ლიდერებმა მცირე დროში შექმნეს თანამედროვე სტანდარტების მქონე პარტია და პოლიტიკურ სპექტრში საკუთარი ნიშაც დაიკავეს. ასევე "ახლების" დამსახურებად უნდა ჩაითვალოს წინააღმდეგობებით გაჯერებულ პოლიტიკურ გარემოში მორალური ელემენტების შეტანა, რასაც, გარკვეულწილად, პარლამენტში თამაშის წესების კორექტირება მოჰყვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## თვალსაზრისი

# მიეცით ხმა იმას, ვინც ნაკლებს გპირდებათ

არჩილ გოგელია

ქართულ ლექსიკაში ყველაზე პოპულარული სიტყვა კორუფციაა; არა იმიტომ, თითქოს კორუფციის სიყვარული გვწვავს. უბრალოდ, პოპულარული შეიძლება იყოს ისეთი ცნებები, როგორიცაა, მაგალითად, რადიკალიზმი, ნარკომანია, ტერორიზმი. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებისადმი დამოკიდებულება მსოფლიოში არაერთგვაროვანი იყო. პალესტინელები, და არა მარტო ბოევიკები და ტერორისტები, მას ზეიმითა და დაუფარავი სიხარულით შეხვდნენ. ასეთივე რეაქცია გამოავლინა ისლამური სამყაროს ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა. ვერავინ დამარწმუნებს, თითქოს ბოროტებისა და ძალადობისადმი მისწრაფება ნიშანდობლივი იყოს ნებისმიერი ერისათვის. მაგრამ თუკი დაბადებიდან ბავშვი აგრესიული და რადიკალური პრინციპების მიმდევრად იზრდება, ასეთ შემთხვევაში მას დაუნდობლობისა და შეუბრალებლობის სულისკვეთება დაჰყვება. ერთ-ერთი დასავლელი ფსიქოლოგის თქმით, როცა იასირ არაფატი საჯაროდ გამოდის ინგლისურად, ახლო აღმოსავლეთში და დანარჩენ მსოფლიოში ტერორიზმს გმობს, საკუთარი აუდიტორიის წინაშე არაბულად გამოსვლისას კი საპირისპიროს ამბობს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# შაბათ-კვირას ერაყში ხუთი ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს

შოთა უტიაშვილი

შაბათ-კვირას ერაყში ხუთი ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ბუშმა ომი დასრულებულად გამოაცხადა, ამერიკელებმა უკვე 104 ჯარისკაცი დაკარგეს, მათგან 48 ერაყელებმა მოკლეს, 56 კი უბედური შემთხვევის და ავადმყოფობის მსხვერპლი გახდა.

ამერიკელი ჯარისკაცები ქალაქ ბაქუბაში ბავშვთა საავადმყოფოს დარაჯობდნენ, როდესაც მათ ხელყუმბარა ესროლეს. თვითმხილველთა თქმით, თავდამსხმელი საავადმყოფოს შენობაში იმყოფებოდა. სამხედროებმა შენობა მაშინვე ალყაში მოაქციეს და ყველა იქ მყოფის დაკითხვას შეუდგნენ, თუმცა მკვლელი, ჯერჯერობით, ნაპოვნი არ არის.

მეოთხე ჯარისკაცი ბაღდადში მოკლეს, როდესაც იგი სხვა სამხედროებთან ერთად ავტომანქანით მგზავრობდა. დაიჭრა კიდევ რამდენიმე სამხედრო. კვირას, კიდევ ერთი საზღვაო-ქვეითი ჯარისკაცი ერაყელი პარტიზანის ნასროლმა ხელყუმბარამ შეიწირა.

სამივე თავდასხმა ე.წ. სუნიტურ სამკუთხედში განხორციელდა, რომელიც ბაღდადის ირგვლივ მდებარეობს. შიიტი არაბებითა და ქურთებით დასახლებულ სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში სიმშვიდეა.

სამხედროების განცხადებით, მათ იმედი ჰქონდათ, რომ სამშაბათს, ჰუსეინის ვაჟების, უდაისა და ქუსაის ლიკვიდაცია წინააღმდეგობის მოძრაობას შეასუსტებდა. მაგრამ, მას შემდეგ ერაყში ათი ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს.

არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ძმები ჰუსეინების სიკვდილმაც. მართალია, სადიზმის გამო, ისინი ერაყელებში მასობრივ ზიზღს იწვევდნენ, მაგრამ ერაყული გაზეთების ნაწილი შაბათ-კვირას წერდა, რომ ამერიკელებს ისინი ცოცხლად უნდა

გაგრძელება A4 გვერდზე

# ზეიმი დამთავრდა - ზეიმამდე ერთი წელია

A8



ლიანა ისაკაძე, მაიკლ ზარეცკი და ვახტანგ ჟორდანია კამერულ ორკესტრთან ერთად

A2 ამბები | A3 ამბები | A4 ამბები | A5 სპორტი | A6 "ტოტო ლოტოს" ცხრილი | A8 სხვადასხვა

## სახელისუფლებო ბლოკის მორიგი თათბირი კანცელარიაში

გუშინ საღამოს საქართველოს პრეზიდენტთან სახელისუფლებო ბლოკი შეიკრიბა. ეს გახლდათ პირველი მსგავსი შეხვედრა მას შემდეგ, რაც პარლამენტში ე.წ. ბეიკერის ვარიანტი პირველი მოსმენით დამტკიცდა და რაც ცხადი გახდა, რომ სახელისუფლებო ბლოკის ცალკეული წარმომადგენლებისთვის პრეზიდენტის სიტყვაც არ არის გადამწყვეტი.

ალბათ გახსოვთ, რომ სახელისუფლებო ძალების ნაწილმა, მათ შორის ხაზარაძემ და სხვებმა აღნიშნულ ვარიანტს მხარი არ დაუჭირეს. არსებული ინფორმაციით, შეხვედრაზე ამ საკითხთან დაკავშირებითაც გახლდათ საუბარი.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ თემით ვაჭრობა გრძელდება და გუშინ ისევ გაჟღერდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სახელისუფლებო ბლოკმა პირველი მოსმენით მიღებულ ვარიანტში სერიოზული ცვლილებების შეტანის გარეშე, შესაძლოა, მას მეორე და მესამე მოსმენით მხარი არ დაუჭიროს.

თუმცა, რამდენად სერიოზულია სახელისუფლებო ბლოკის ცალკეული წარმომადგენლების ასეთი მუქარა, სავარაუდოდ, დღეს გახდება ცნობილი, როცა საქართველოს პრეზიდენტი ტრადიციულ ბრიფინგზე ჟურნალისტების, მათ შორის ამ საკითხთან დაკავშირებულ, კითხვებსაც უპასუხებს.

*24 საათი*

## შიმშილობა შეწყდა

პირველი გვერდიდან

**"ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტის"** გამო მოშიმშილე კობა დავითაშვილის, ლადო ჭიპაშვილის, ზვიად ძიძიგურის, კოტე კემულარიას, გოჩა ჯოჯუას და აკაკი ბობოხიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა, როგორც ექიმები ამბობენ, სერიოზულად დამძიმებულია. იუსტიციის სამინისტროდან გამოსული მოშიმშილეები სასწრაფო დახმარების მანქანებში მოათავსეს და დიღმის თერაპიის ცენტრში წაიყვანეს, სადაც ისინი რეაბილიტაციის კურსს გაივლიან, გადასხმებს გაიკეთებენ და, სავარაუდოდ, ორი დღის განმავლობაში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ დარჩებიან.

თორმეტდღიანი შიმშილობის "ჰეფი ენდს" საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი დაესწრო და გილიგაშვილის უწყებასთან მინი-აქცია გამართა.

სააკაშვილმა მომიტინგეებს საზეიმოდ ამცნო "პრეზიდენტის უკანდახევისა და "ნაციონალური მოძრაობის" ტრიუმფალური გამარჯვების" ამბავი და პენსიონერებს შემდგომშიც გვერდით დგომას დაჰპირდა. სააკაშვილის თქმით, იგი ხელისუფლებას ბოლომდე მაინც არ ენდობა. ამდენად, მთელი საქართველოს მასშტაბით შეიქმნება "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებისგან დაკომპლექტებული კომისიები, რომლებიც პენსიების გაცემის პროცესს გააკონტროლებენ.

იუსტიციის მინისტრი როლანდ გილიგაშვილი კმაყოფილია, რომ მის მისაღებში მოშიმშილე ადამიანები აღარ იქნებიან.

**„მოხარული ვარ, რომ კონფლიქტის მოწესრიგება მოხერხდა. პრეზიდენტმა კეთილი ნება გამოიჩინა და საპენსიო დავალიანებების გაცემის შესახებ განკარგულება გასცა",** - განუცხადა მან ჟურნალისტებს.

სააკაშვილის თქმით, პრეზიდენტის განკარგულების აღსრულება დღეიდან დაიწყება. ხუთშაბათს კი "ნაციონალური მოძრაობა" თბილისში საქართველოს ყველა ქალაქისა და სოფლის პენსიონერების ჩამოყვანასა და მათთან შეხვედრას გეგმავს.

## სახელისუფლებო ბლოკმა, შესაძლოა, „ბეიკერის ვარიანტს" მეორე და მესამე მოსმენით მხარი აღარ დაუჭიროს

სახელისუფლებო ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესის პარლამენტში მეორე და მესამე მოსმენით მხარდაჭერის საკითხზე დამატებით იმსჯელებს.

ფრაქცია "სოციალისტის" ლიდერის ირაკლი მინდელის განცხადებით, "სოციალისტებს" მიაჩნიათ, რომ პირველი მოსმენით ცესკო-ს დაკომპლექტების წესი "ასეთი სახით" არ უნდა გასულიყო, რადგან ეჭვს იწვევს საკითხის სამართლებრივი მხარე და "არავინ იცის, რა დაამტკიცა პარლამენტმა".

მინდელის თქმით, მან საორგანიზაციო დეპარტამენტისგან პირველი მოსმენით მიღებული დოკუმენტის გადმოცემა მოითხოვა.

"ასეთი დოკუმენტი არ არსებობს," - ამბობს დეპუტატი.

ფრაქციის ლიდერის თქმით, მიღებულ ვარიანტში არაფერი წერია ცესკო-ში გადაწყვეტილებების 2/3-ით მიღების წესზე, რასაც "ბეიკერის ფორმულა" ითვალისწინებს.

მინდელის თქმით, პირველი მოსმენით დამტკიცებულ ვარიანტში ისეთი ფორმულირებაა, რომელიც "ზვიადისტურ" პარტიებს შორის სასამართლო დავებს დაუდებს სათავეს. დეპუტატის აზრით, დავის მიზეზი, შესაძლოა, ცესკო-ს დაკომპლექტების წესი გახდეს, რომლის მიხედვითაც ექს-პრეზიდენტის მომხრეებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 1 ადგილი ეკუთვნით.

ირაკლი მინდელის განცხადებით, "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" პოზიცია, რომელიც არჩევნების ბოიკოტირებას ითვალისწინებს, საშიშია ქვეყნისთვის.

მას სამართლიანად არ მიაჩნია "მოქალაქეთა კავშირიდან" ოპოზიციაში გადასული დაჯგუფებების - "გაერთიანებული დემოკრატების", "ნაციონალური მოძრაობის" და "ახალი მემარჯვენეების" მოთხოვნა, ახალი პოლიტიკური რეალობის გამო წარმოდგენილი იყვნენ ცესკო-ში.

**პრაიმ-ნიუსი**

## კანცელარიის თანამშრომელთა პირადობის მოწმობებსაც აყალბებენ

უშიშროების სამინისტროს კონტრტერორისტული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში დააკავეს რომან უბირია, რომელიც, ჯერჯერობით დაუდგენელ პირებთან ერთად, საქართველოს კანცელარიის, ე.წ. "საიდუმლო სამსახურის" და სხვა უწყებების თანამშრომლების პირადობის მოწმობებსა და ყალბ დოკუმენტებს ამზადებდა. როგორც თვითმხილველნი ამბობენ, უბირიას ჯგუფის მიერ დამზადებული "საბუთების" ნამდვილისგან განსხვავება ვიზუალურად, ფაქტობრივად, შეუძლებელია. "დოკუმენტებზე" დაფიქსირებულია სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირების, მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარის გაყალბებული ხელმოწერები.

მართალია, ჯერჯერობით საგამოძიებო ორგანოებს მკაცრად აქვთ გასაიდუმლოებული "საბუთების" დამზადების ტექნოლოგია, მაგრამ პირველადი მონაცემებით, "დოკუმენტები" კომპიუტერის სპეციალური პროგრამებით მზადდებოდა. რაც შეეხება ყდებს, ისინი შესაძლებელია ან კანცელარიიდან გამოჰქონდათ (რაც ნაკლებად სავარაუდოა), ან იმ სტამბიდან, რომელიც კანცელარიის შეკვეთებს ასრულებდა. თუმცა, არსებობს მესამე ვარიანტიც, ქვეყნის ყველაზე პრივილეგირებული ფენის დამადასტურებელ დოკუმენტებს, ჯგუფი კუსტარულად ამზადებდა. აღნიშნულ ვერსიებზე დღეს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი მუშაობს, რომელმაც აღმოჩენილ "საბუთებზე" ექსპერტიზა უკვე დანიშნა.

გამოძიება მუშაობს იმაზეც, ვინ იყვნენ უბირიას ჯგუფის კლიენტები და რამდენი კაცი სარგებლობს სახელმწიფო კანცელარიის "დოკუმენტით". არადა, როგორც უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს დირექტორი ნიკა ლალიაშვილი ირწმუნება, ყალბი დოკუმენტებით "შეიარაღებული" პიროვნებები საკმაოდ საშიშია, რადგან მათ თავისუფლად შეუძლიათ, ცეცხლსასროლი იარაღით შევიდნენ სარეჟიმო გასაიდუმლოებულ და დაცულ ობიექტებზე.

ასრულებდა თუ არა უბირიას ჯგუფი რომელიმე პოლიტიკური პარტიის შეკვეთას, გამოძიება წინასწარ ვერაფერს ამბობს, თუმცა მიუთითებს, რომ რომან უბირია კაზაკთა კავშირთან და მის ხელმძღვანელობასთან საკმაოდ დაახლოებულია.

## ვიაჩესლავ ეშბა: ომი აუცილებლად იქნება...

სეპარატისტული რეჟიმის ოფიციოზში - „რესპუბლიკა აფხაზიაში" - გამოქვეყნდა ინტერვიუ ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრთან ვიაჩესლავ ეშბასთან, რომელიც აცხადებს: **"საქართველოს შეიარაღების პოტენციალი ბევრად გაიზარდა, ზოგიერთ ასპექტში ის რუსეთის შეიარაღებასაც აღემატება. ჩვენ არ გვყავს თავდასხმაზე ორიენტირებული არმია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იფიქრო, როგორ დაიცვა შენი სახლი, შენი კუთხე, შენი სახელმწიფო. სხვა გზა, უბრალოდ, არა გვაქვს. მინდა, ყველა გავაფრთხილო, რომ ომი აუცილებლად იქნება, თუ ყოველდღიურად არ ვიმუშავებთ. უნდა იყოს შიდა სტაბილურობა". მედია-ნიუსი**

## სჭირდება თუ არა საქართველოს ორი ფლოტი

პირველი გვერდიდან

რაც მთავარია, ამ დახმარების ფარგლებში განახლდება მუშაობა ქართველი გამომგონებლის, პროფესორ ანატოლი გორგოშიძის მიერ შემუშავებულ მრავალკომპონენტიან სისტემა "იორზე", რომელიც ნატო-ს სტანდარტებით შექმნილი საზღვრის მართვის, კონტროლისა და თვალთვალის უნიკალური სისტემაა და მასზე ქართველი ძალოვნები სერიოზულ იმედებს ამყარებენ.

ერთადერთი, რასაც წლების მანძილზე ურჩევენ უცხოელი ექსპერტები საქართველოს ხელისუფლებას – რესურსების სწორი გამოყენებაა. დასამალი არ არის, რომ ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტი შეკითხვები სწორედ ფოთის სანაპიროზე დისლოცირებული ორი სამხედრო ფლოტის – ერთი მხრივ, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საზღვაო ძალებისა და მეორე მხრივ, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის – არსებობა იწვევს.

სინამდვილეში, ბევრ ევროპულ და ჩვენს მეზობელ საზღვაო სახელმწიფოებში სანაპირო დაცვის ძალები და სამხედრო ფლოტი ცალ-ცალკე არსებობს და ისინი მათთვის გაწერილ სპეციფიკურ ფუნქციებს ასრულებენ: სანაპირო დაცვა აკონტროლებს საზღვაო რეჟიმს ეკონომიურ და ტერიტორიულ წყლებში; ნაოსნობის საერთაშორისო კანონმდებლობით მესაზღვრეებს შეუძლიათ მოითხოვონ გემების საბუთების შემოწმება და ტვირთების დათვალიერება; ნორმების დარღვევის შემთხვევაში გემების დაპატიმრება და ა.შ. რაც შეეხება სამხედრო-საზღვაო ძალებს, მათი დანიშნულება საბრძოლო ამოცანებით – მოწინააღმდეგის საზღვაო აგრესიის აღკვეთის, საზღვაო დესანტირებით, ზღვაზე ანტიტერორისტული ოპერაციებითა და, საჭიროების შემთხვევაში, სანაპირო დაცვის ძალებისთვის დახმარების აღმოჩენით შემოიფარგლება.



ქართული ფლოტის წვრთნა.

მაგრამ, რაკი ასე განისაზღვრა კიდევაც ეს ორი სახეობა სამხედრო ძალების სტრუქტურაში, შესაბამისად, საზღვარგარეთელმა მრჩევლებმაც ხელი ჩაიქნიეს და უკვე ისეთი დაჟინებით აღარ მოითხოვენ ორი ფლოტის შერწყმას.

**"არაერთი ადამიანისგან მოდიოდა რეკომენდაცია, რომ სანაპირო დაცვა და სამხედრო ფლოტი გაერთიანებულიყო, მაგრამ საქართველომ თავისი განვლილი გზით აჩვენა, რომ სჭირდება ორივე სტრუქტურა, ვინაიდან არსებობს სათანადო საფრთხეები. ხოლო, თუ რა იქნება მომავალში, ეს თავად საქართველომ უნდა გადაწყვიტოს,"** - საკმაოდ ფრთხილობს ჯონ ტრამბოლი.

მაგრამ ყველაზე უკეთ საქართველოში იციან, რომ ასეთი ფუფუნებისთვის ქვეყნის ბიუჯეტს რეალური შესაძლებლობა არ გააჩნია: ჩვენ ერთ-ერთ ბოლო პუბლიკაციაში ვწერდით სამხედრო-საზღვაო ძალების კუთვნილი იმ კატარღის შესახებ, რომელსაც მესამე წელია ედება ჟანგი უკრაინის პორტ "ბალაკლავაში". ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ვერ გამონახა რემონტისთვის საჭირო სახსრები. სამწუხაროდ, იგივე ბედი ეწევათ მომავალში სხვა მცურავ საშუალებებსაც, რომლებიც სულ მალე გამოემშვიდობებიან რესურსს და ჯართად გაყიდვა ელით.

უკეთეს მდგომარეობაში არც სანაპირო დაცვის ხომალდებია, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვთქვით, ამერიკა წელს მათ რემონტს აპირებს. მაგრამ 380 კილომეტრის საზღვაო საზღვრის კონტროლს, როდესაც ბოლო ხანს აშკარად იმატა დარღვევების შემთხვევებმა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, აშკარად ვერ გასწვდება სანაპირო დაცვის ის ათიოდე კატარღა, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს რესურსი შერჩენილი.

რა თქმა უნდა, საქართველოს საზღვაო პოტენციალი გაცილებით ძლიერი იქნებოდა, თავის დროზე სახელმწიფოს სწორი ინსტიტუციური და ფინანსური პოლიტიკა რომ ჩამოეყალიბებინა და, რუსეთ-უკრაინასთან ერთად, მონაწილეობა მიეღო შავი ზღვის სამხედრო ფლოტის ქონების გაყოფის პროცესში. მაგრამ ფლოტის წილის დაბრუნებაზე ფიქრი უკვე ძალზე დაგვიანებულია.

ახლო მომავალში საქართველოს საკმარისი ფინანსური შესაძლებლობები არ ექნება, რათა ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სამხედრო სახეობა განავითაროს. რჩება ერთადერთი – ინსტიტუციური ცვლილება - თავდაცვის სამინისტროსა და საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში გაბნეული მცურავი საშუალებებისა და პირადი შემადგენლობის გაერთიანება და მათ ბაზაზე, ერთიანი საზღვაო თავდაცვითი ძალების შექმნა, რასაც ჯერ კიდევ ბევრი უწყებრივი ინტერესი ეღობება წინ.

## „ჩვენსა და BP-ის შორის ქართველი მგლები დგანან"

პირველი გვერდიდან

საქმე ის არის, რომ BP-მა ნავთობსადენის ტრასის გადამფარავ ტერიტორიაზე სოფელ ხვანას მიწა თავის მონაცემებში გაატარა არა როგორც საკარმიდამო, არამედ როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა. მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა მტკიცებით კი, არსებობს მთელი რიგი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს აღნიშნული მიწის სამოსახლო კატეგორიას. მესაკუთრეებმა პირველი გამაფრთხილებელი წერილი BP-ის ხელმძღვანელობას 2003 წლის 15 მაისს მას შემდეგ გაუგზავნეს, როცა შეიტყეს, რომ მათი სამოსახლო მიწის ნაკვეთები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიაში გაატარეს. ხვანელები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ის მიწა (25 ჰექტარი), სადაც ნავთობსადენმა უნდა გაიაროს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 14 აგვისტოს №416 დადგენილებით ადიგენის რაიონის სოფელი უდეს მოსახლეობას სხვილისის საკრებულოს ტერიტორიაზე სოფლის ასაშენებლად გადაეცა. სამოსახლო ნაკვეთების გაცემის აუცილებლობა სოფელი უდეს ტერიტორიაზე სამოსახლო მიწის სიმცირით იყო განპირობებული. ამის შემდეგ სოფელ უდეს მცხოვრებნი ძველი საცხოვრებლიდან ამოეწერნენ და ახალციხის რაიონის სოფელი სხვილისის საკრებულოში დარეგისტრირდნენ. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1993 წლის 9 მარტს ადიგენისა და ახალციხის რაიონის გამგებლების სახელზე გაგზავნილი № 1730/69 წერილის საფუძველზე, აღნიშნულ სამოსახლო მიწის ნაკვეთებს სოფლის სტატუსი მიენიჭათ და სხვლისის საკრებულოს ფარეხის ტერიტორიას, მოსახლეობის მოთხოვნით, სოფელი ხვანა ეწოდა.

BP-ის საპასუხო წერილში, რომელიც 23 ივნისითაა დათარიღებული, გარკვევით წერია, რომ კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს №416 რეზოლუციის მიუხედავად, რომელიც 1990 წლის 14 აგვისტოთია დათარიღებული, ამ ტერიტორიაზე მდებარე მიწა ამჟამად კლასიფცირებულია როგორც სასოფლო-სამეურნეო მიწა.

სოფლის მცხოვრებთა განცხადებით, BP შეცდომაში შეიყვანეს და მას არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს. **"ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ჩვენსა და BP-ის შორის ქართველი მგლები დგანან",** - აცხადებენ ხვანელები; არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში კი ახალციხის ადგილობრივ ხელისუფლებას ადანაშაულებენ.

დეტალების დასაზუსტებლად და შეთანხმების მისაღწევად მხარეებმა შეხვედრა გადაწყვიტეს, რომელიც 10 ივლისს ახალციხეში გაიმართა. BP-ის წარმომადგენლებთან ერთად ხვანელ მესაკუთრეებთან შესახვედრად GIOC-ისა და მიწის მართვის სახელწმიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებიც ჩავიდნენ. პირველი შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. ხვანელ მესაკუთრეებს სოფლის არსებობის დოკუმენტური მასალის წარდგენა "დაევალათ". იგივე წერია BP-ის საპასუხო წერილშიც - თუ მიწის ნაკვეთების მფლობელები, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ გაცემულ, აღნიშნული მიწისათვის სოფლის სტატუსის მინიჭების დამადასტურებელ დოკუმენტურ მტკიცებულებებს წარადგენენ, BP მზად არის, სანაცვლო მიწის ათვისების მოსაკრებელი 15 პროცენტით გაზარდოს. ამასთანავე, **"იმ მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს, რომელთაც საკუთარი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა უკვე დაიწყეს მილსადენის სამშენებლო დერეფნის ფარგლებში, შენობების დანახარჯი აუნაზღაურდებათ, "** - ვკითხულობთ BP-ის მიწისა და ნებართვების მენეჯერის, სტიუარტ დანქანის წერილში.

ხვანელები კი ასეთ მტკიცებულებებად, ხსენებული დადგენილებების გარდა, უდეს მკვიდრთა სოფელ ხვანში ჩაწერის შესახებ ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებას და მიწის ნაკვეთების მიღება-ჩაბარების აქტებს ასახელებენ. ამიტომ, ხვანელების მტკიცებით, **"ეჭვს არ უნდა იწვევდეს ფაქტი, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი კვეთს ახალციხის რაიონის სოფელ ხვანას და არა სასოფლო დანიშნულების მიწას",** - ვკითხულობთ BP-ის ხელმძღვანელობასთან 18 ივლისს გაგზავნილ მეორე წერილში. ხვანელების მტკიცებით, 100-დან 70 ოჯახს სახლების მშენებლობა დაწყებული აქვს.

18 ივლისის წერილით, BP-ის გადაწყვეტილების მიღებისათვის ერთკვირიანი ვადა მიეცა. ათვლა ორშაბათიდან დაიწყო. სტიუარტ დანქანი კი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ეს ვადა მას სრულებით არ ეხება, რადგან **"მიწის რეგისტრაცია, მიწების კატეგორიებად დაყოფა ეს სახელმწიფოს საქმეა, ჩვენ კი მის მონაცემებს ვეყრდნობით და მის გადაწყვეტილებას ვემორჩილებით. ამიტომ, ჩვენც სახელმწიფოს გადაწყვეტილების მიხედვით გადავწყვეტთ, გადავიხადოთ 15 პროცენტი დამატებით თუ არა"**. მან იქვე ისიც დასძინა, რომ აუცილებლად შეეხმიანება ხვანელებს, მხოლოდ ზრდილობის გამო, რადგან წერილი კონკრეტულად მის სახელზეა გამოგზავნილი. დანქანი დარწმუნებულია, რომ თავის მეორე წერილში ის, უბრალოდ, დაადასტურებს მანამდე ნათქვამს. დანქანის თქმითვე, კომპანია მთელს ამ კორესპონდენციას გაუგზავნის სახლმწიფოს წარმომადგენელს GIOC-ის და ამ საკითხთან დაკავშირებით მისგან ოფიციალურ ახსნა-განმარტებას მოითხოვს. თუმცა, სტიუარტ დანქანი, ფაქტობრივად, დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო მესაკუთრეებს სასამართლოსკენ მიუთითებს უფლებების დასაცავად.

**"არც BP-ის და არც ჩვენ არ გვაქვს მიწის კატეგორიის შეცვლის უფლება. ასეთი საკითხების გადასაწყვეტად საუკეთესო გზაა სასამართლო. ამის არაერთი შემთხვევა გქვონია",** - განაცხადა GIOC-ის პროექტების მართვის სამსახურის მენეჯერმა ირაკლი ქელბაქიანმა.

## საუბრები პენსიების გამოთანაბრების შესახებ ბლეფია

კვლავ სერიოზული გარღვევაა სოციალური ფონდის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსებაში. წინა კვირასთან შედარებით პროგრამების დაფინანსებაში თითქმის არაფერი შეცვლილა.

ჯანდაცვის პროგრამები დაფინანსებულია 78,8 პროცენტით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამა - 51,9 პროცენტით, უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები - 30,5 პროცენტით.

ფაქტია, რომ დასაქმების პროგრამები ძალიან ცუდად ფინანსდება. სოციალური ფონდის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ დასაქმების პროგრამებში შესრულებული სამუშაოები სრულად არის დაფინანსებული. გამოდის, რომ შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები უბრალოდ არ ასრულებენ თავის მოვალეობას.

**საზოგადოებამ უნდა მიიღოს პასუხი კითხვაზე: ფული დასაქმების პროგრამებისთვის მართლაც არის და ვერ აითვისეს, თუ ......**

27 ივლისისათვის სოციალური ფონდის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების 6 თვის ხარჯების გეგმაში გარღვევა 10 მილიონ 647 ათას 200 ლარია.

კატასტროფული მდგომარეობაა პენსიების დაფინანსებაში. ჯერ არ დასრულებულა მარტის თვის პენსიების დაფინასება, გარღვევა 1,3 მილიონი ლარია. აპრილის პენსიების დაფინანსებაში გარღვევა 8,7 მილიონი ლარია, მაისში - 10,3 მილიონი ლარია და ივნისში - 12,1 მილიონი ლარია.

წინა კვირას პენსიების დაფინასებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ **საუბრები რაიონების მიხედვით პენსიების გამოთანაბრების შესახებ ბლეფი აღმოჩნდა.** კერძოდ, წინა კვირას პენსიების დასაფინანსებლად გამოიყო 2,2 მილიონი ლარი. აქედან, 1 მილიონი ლარი დაიხარჯა მარტის თვის დავალიანების დაფარვისათვის, ხოლო 1,2 მილიონი ლარი ივნისის პენსიებზე.

ძალოვანი სტრუქტურების პენსიები დაფინანსებულია მაისის ჩათვლით. ივნისის თვეში გარღვევა 1,7 მილიონი ლარია. ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერიდან უმწეოთა სოციალური დახმარება დაფინანსებულია მხოლოდ აპრილის ჩათვლით, ხოლო მაის-ივნისის ხარჯებში გარღვევა 2,4 მილიონი ლარია. პენსიების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვისათვის გადარიცხულია 1,3 მილიონი ლარი. სასამართლო გადაწყვეტილებით კი გადარიცხულია 15,6 ათასი ლარი.

**27 ივლისისათვის პენსიებში გარღვევა დაახლოებით 54 მილიონი ლარია. არსებობს რამდენიმე ჩინოვნიკის პირობა, სექტემბერში მიმდინარე საპენსიო დავალიანების სრულად აღმოფხვრის შესახებ. შესაბამისად, სოციალურმა ფონდმა ორი თვის განმავლობაში მხოლოდ პენსიების დასაფინანსებლად დაახლოებით 94 მილიონი ლარი უნდა გამოყოს. სამწუხაროდ, ესეც მთავრობის მორიგ ბლეფად იქცევა.**

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*



პენსიების დაფინანსება 27 ივლისისათვის



გაცნობებთ, რომ 2003 წ. 30 ივლისს ჩატარდება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი N30. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება 133-დღიანი სახაზინო ვალდებულებები 7,000,000 (შვიდი მილიონი) ლარის ოდენობით.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის "პოლიციელთა ასოციაციის" წევრები ქართველი პოლიციელებიც გახდნენ. გუშინ ბორის პაიჭაძის სახელობის "დინამოს" სტადიონზე საქართველოში "პოლიციელთა საერთაშორისო ასოციაციის" ფილიალის დაფუძნება საზეიმოდ აღინიშნა. გუშინვე ქართველ სამართალდამცველებს ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი პირადობის მოწმობები გადაეცათ, ხოლო ორგანიზაციის თავმჯდომარედ გენერალი სოსო ალავიძე აირჩიეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მე-5 საპყრობილიდან ოთხმა არასრულწლოვანმა პატიმარმა გაქცევა სცადა. ქურდობაში ბრალდებული ვალერი ნაცვლიშვილი, მამუკა გოგოლაშვილი, ნიკოლოზ პასტერნაკი და ლევან აბუაშვილი მთავარ დამცავ კედელზე გადასვლით საპყრობილის ტერიტორიის დატოვებას ცდილობდნენ. არასრულწლოვანებმა გატეხეს საკნის კარის ფანჯარა, კარს კლიტე მოხსნეს და დერეფნის ფანჯარასთან მისულები, ზეწრებით გაკეთებული თოკით საპყრობილის მე-3 კორპუსის ეზოში დაეშვნენ. ამ დროს ისინი კონტროლიორმა შენიშნა და მორიგე ოპერატიულმა ჯგუფმა დააკავა.

ამ ფაქტზე მოკვლევას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოკვლევის სამსახური ატარებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გორი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ოსი ეროვნების კრიმინალებს და ქართველ სამართალდამცველებს შორის მომხდარი შეტაკების დროს დაღუპული პოლიციელები - კახაბერ აბულაძე და თენგიზ ელუაშვილი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით, ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული გვარდიის სამთო-მსროლელმა რაზმმა "ხევსურეთმა" ბარისახოში 26 ერთეული "ნურსის" ტიპის ჭურვი, ორი ცალი "ტგ-7"-ის ტიპის ყუმბართსატყორცნი, "F-1" ტიპის სამი ცალი ერთჯერადი ყუმბართსატყორცნი, ე.წ. "მუხა" და ხელნაკეთი დამხმარე მოწყობილობები აღმოაჩინა. არსენალი სპეციალურად გათხრილ ორმოში იყო ჩაფლული.

რაზმის წევრებმა იარაღი ერთ-ერთი პრაქტიკული მეცადინეობის დროს აღმოაჩინეს.

შესაბამისი ექსპერტიზა უკვე ჩატარდა, რომლის მიხედვითაც იარაღი საქართველოს ფარგლებს გარედან, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ არის შემოტანილი და მისი გამოყენება ნებისმიერ დროს იქნებოდა შესაძლებელი.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ ტიპის იარაღს, ძირითადად, ჩეჩენი მებრძოლები იყენებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისია დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში აგვისტოს შუა რიცხვებში გასვლით სხდომას გამართავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორშაბათს მიხეილ ოსაძის პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია გენერალური პროკურორის და გენერალური პროკურატურის საქმიანობაში დაშვებული სამართალდარღვევების შესახებ საბოლოო დასკვნას გამოაქვეყნებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანების "21-ე საუკუნის" წევრი ჯემალ გამახარია ახალი ინიციატივით გამოდის და აცხადებს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია 1992 წელს დამხობილი ხელისუფლების უზენაესი საბჭოს წარმომადგენლებმა უნდა დააკომპლექტონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია „მრეწველების" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე პარლამენტის მიერ ცესკო-ს ფორმირების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გამო სერიოზულად მიიჩნევს „აღორძინების" ულტიმატუმს, რომელიც აჭარაში საპარლამენტო არჩევნების შესაძლო ბოიკოტირებას ეხება. თუმცა, აქვე აცხადებს, რომ "მრეწველები" ულტიმატუმებით საუბარს არ აპირებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სახალხო კრების საპარლამენტო არდადეგები 6-დან 30 აგვისტომდე გამოცხადდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმის მთავრობის პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა აცხადებს, რომ "გუდაუთის სამხედრო ბაზა აფხაზეთის ტერიტორიაზეა განთავსებული და თუ რუსეთი ქართული მხარის მიერ მის ინსპექტირებაზე დათანხმდება, მაშინ პირველ რიგში აფხაზურ მხარეს უნდა შეეკითხონ, თუ როგორ უნდა ჩაიყვანონ ეს ხალხი ბაზაზე". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო აქტიური ჩართვას ეცდება, თუმცა, ამასთან, მოცემული თვალსაზრისით რუსეთის როლი არ შესუსტდება, - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ექსმოქალაქური ტრიადა და ნინო ბურჯანაძის ოპოზიციური ხიბლი


დავით გამყრელიძე


მიხეილ სააკაშვილი


ზურაბ ჟვანია


ნინო ბურჯანაძე

პირველი გვერდიდან

"ახლების" ყველაზე მნიშვნელოვან და შთამბეჭდავ მიღწევად 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება უნდა მივიჩნიოთ. ასეთ შედეგს პარტია ვერ მიაღწევდა, რომ არა სოლიდური ფინანსური რესურსი, რომლის მიხე- [illegible]

[illegible] საკუთრებული ადამიანების წარმოჩენას გულისხმობს, წამგებიანად გამოიყურება. ამიტომ ფრიდმანის სკოლის მიმდევარ გულანთებულ ქართველ კრუზეიდორებს სერიოზული შედეგის მისაღწევად არსებული კონიუნქტურის გათვალისწინება მოუწევთ.

შექმნილი რეალობის ფონზე "ახლების" გადაწყვეტილება - დამოუკიდებლად გამოვიდნენ საპარლამენტო არჩევნებზე, სერიოზულ რისკთანაა დაკავშირებული. როგორც ჩანს, მათ ვერ დაძლიეს ზურაბ ჟვანიას მიმართ არსებული უნდობლობის ბარიერი. არადა, ამ გაერთიანებიდან შეეძლოთ სერიოზული სარგებლის მიღება, რადგან პირობების მო-კარნახის როლში აღმოჩნდებოდნენ. "ახლებმა" გადაწყვეტილების მიღებისას აქცენტი, სავარაუდოდ, ფულსა და ხალხის ნდობაზე გააკეთეს. ანუ მათ გათვალეს, რომ მოსახლეობა უარესსა და უარესზე უკეთესს შორის არჩევანს სწორედ მათზე შეაჩერებდა.

პარლამენტის თავმჯდომარის [illegible]

## ჟვანია-სააკაშვილის დაპირისპირებული ერთიანობა

[illegible] ამიტომ ჟვანია იძულებულია, ლიდერის ამბიციები დროებით გვერდზე გადადოს და საარჩევნო ბლოკში მეორე პოზიციაზე დამკვიდრდეს ("მეორე კაცის" როლის თამაში მას კარგად გამოსდის). "ახალ მემარჯვენეებთან" გაერთიანების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ დღის წესრიგში ბუნებრივად დადგა ტრადიციულ პარტნიორთან - "ნაციონალურ მოძრაობასთან" ერთიანი საარჩევნო ბლოკის შექმნის საკითხი.

ჟვანია-სააკაშვილი ერთი წარსულიდან მოდიან. ისინი დღემდე საზოგადოების თვალში წარმატებით ახერხებენ თანამებრძოლის იმიჯის შენარჩუნებას. თუმცა, მათ ურთიერთობაში ბზარი დიდი ხნის წინ გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის ფიგურის შექმნაში ჟვანიას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის, "აღზრდილი", საკუთარი ინტერესების გამო, ხშირად ივიწყებს ხოლმე "აღმზრდელის" დამსახურებებს. თუმცა, პრაგმატული მოსაზრებების გამო, ჟვანია ურთიერთობის გამწვა- [illegible]

[illegible] რა, რადგან შესაძლო დაპირისპირების შემთხვევაში სერიოზულად დაზარალდება.

სააკაშვილისთვის ჟვანიასთან თანამშრომლობა კიდევ უფრო საინტერესო ხდება ნინო ბურჯანაძის ნდობის რეიტინგის გაზრდის გამოც. ეს თბილისის საკრებულოს ამბიციური თავკაცისათვის მეტად საშიში [illegible]

## ბურჯანაძის აქილევსის ქუსლი

[illegible] უკავიათ). ეს ნინო ბურჯანაძის აქილევსის ქუსლია. ხელისუფლებამ მის წინააღმდეგ სწორედ ამ ბერკეტის ამოქმედება სცადა და ინტერესთა გადაკვეთის შემთხვევაში, ალბათ, მომავალშიც ახალი ძალით აამოქმედებს. გამორიცხული არაა, ამ კუთხით მიმართულმა ძალისხმევამ ქვეყნის მეორე პირი ქალბატონის პოზიციების საგრძნობი შესუსტება გამოიწვიოს.

■ ■ ■

"მოქალაქეთა კავშირის" ყოფილი ლიდერები ძალებს იკრებენ. ისინი პოლიტიკური ოლიმპის დასალაშქრად ემზადებიან. 2 ნოემბერი მათი წარმატების ან იმედგაცრუების დღე აღმოჩნდება.

*თვალსაზრისი*

# მიეცით ხმა იმას, ვინც ნაკლებს გპირდებათ

პირველი გვერდიდან

არც ერთ ამ მოვლენას დღევანდელ საქართველოსთან პირდაპირი კავშირი, რა თქმა უნდა, არ აქვს, მაგრამ ჩვენი ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია, უკიდურესი სიდუხჭირის გარდა, ზნეობისა და დაუნდობლობის გაცნობიერებულ თუ გაუცნობიერებელ დეფიციტს წარმოშობს. ეკონომიკურ გაჭირვებას ადრე თუ გვიან შეიძლება ეშველოს, მაგრამ ქართველი ერის ფსიქიკის გადაგვარება-მოშლას ძნელად ეშველება. ყოველ შემთხვევაში, შორეულად, მაგრამ მაინც რეალურად ემუქრება ჩვენს საზოგადოებას ეგრეთ წოდებული "პალესტინიზაციის" საფრთხე. ჩვენ შევეჩვიეთ აუღელვებლად და სიამოვნებითაც კი არა მარტო საშინელებებისა და ძალადობის ამსახველი ფილმების ყურებას, არამედ რეალურ ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხდარ ანალოგიებსაც. საზოგადოების ამგვარი შემწყნარებლური დამოკიდებულება ძალმომრეობისა და უკანონობისადმი მარტო ფსიქოლოგებს არ შეუნიშნავთ; ამ თემას, გთხოვთ, განსაკუთრებით დააკვირდეთ, ყოველდღიურად ხაზგასმულ ექსპლუატაციას უწევს ქართული მედია. ეს არ არის მხოლოდ ძალმომრეობის დემონსტრაცია; ეს ამაზე უფრო მეტია: ესაა საზოგადოებისთვის დღეს ყველაზე სასურველი, საინტერესო და დამაინტრიგებელი "საქონლის" გაყიდვა. თანაც, "საქონელი" იყიდება თავად საზოგადოების დაკვეთის, მოთხოვნილების, ინტერესისა და სურვილის გათვალისწინებით. ნებისმიერი კრიმინალური ფაქტი, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო, დაუყოვნებლივ გამოდის მედიის ბაზარზე; დაუყოვნებლივ იმიტომ, რომ ამგვარ ინფორმაციას მოუთმენლად ელის საზოგადოება. რაც შეეხება მედიას, როგორი საკვირველიც უნდა იყოს, იგი დამნაშავეცაა და არც არის დამნაშავე. დამნაშავე არ არის იმიტომ, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობები და კონკურენცია მას საზოგადოებისთვის საინტერესო თემების გამოყენებისაკენ უბიძგებს, მეტიც, აიძულებს. არ გააკეთებ შენ, გააკეთებს კონკურენტი და დაკარგავ მკითხველსა და მაყურებელს. ეს მხოლოდ კრიმინალურ თემატიკას არ ეხება. ყოველდღიურად მოწმენი ვართ, რომ მეტწილად გაქრა ის, რასაც დადებითი მაგალითის ტირაჟირებას ვუწოდებთ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შოუ-ბიზნესისა და სპორტის ზოგიერთი წარმომადგენლის გარდა, საქართველოს აღარა ჰყავს ჩინებული სწავლული, ხელოვანი ან სხვა პროფესიების წარმომადგენლები. ვიმეორებ, გაქრა მოთხოვნილება დადებით მაგალითზე, რადგან თავად საზოგადოებაში დაიკარგა მისდამი ინტერესი. მაგრამ საზოგადოება მუდამ არ ყოფილა ასეთი. მინდა სწორად გამიგოთ: ნოსტალგიურ გრძნობებს მაინცდამაინც არასდროს შევუწუხებივარ. მართებულად თუ უმართებულოდ, მუდამ აწმყო და მომავალი უფრო მაინტერესებდა. არც არასოდეს მითქვამს, რომ ძველი დრო ახალს სჯობს. ამის თქმა, უბრალოდ, აბსურდად მიმაჩნია. თვით ჩვენც ერთი შეხედვით სასოწარკვეთის მომგვრელ დროშიც კი შეუდარებლად წინ წავედით თუნდაც თხუთმეტი-ოცი წლის წინანდელ პერიოდთანაც კი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შეუდარებლად ამაღლდა ქართული ჟურნალისტიკის საერთო კლასი. უწინარესად, ეს ეხება პროფესიული დონის რაღაც არაჩვეულებრივ პროგრესს. ავად თუ კარგად, მეც პროფესიონალი ჟურნალისტი ვარ და უახლოეს მომავალში ქართული ჟურნალისტიკის დღევანდელ ზოგიერთ საგულისხმო ტენდენციაზე წერილების ციკლის გამოქვეყნებას ვაპირებ.

ერთი სიტყვით, მე იმის თქმა მინდა, რომ ჟურნალისტიკაში ბრძოლებისა და კონკურენციის მოსაგებად დღეს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს არა იმდენად თემას, არამედ იმას, რამდენად პროფესიულად აწვდი აუდიტორიას სათქმელს. და მაინც, ჟურნალისტიკის ყველაზე დიდ ნაკლად მისი დღევანდელი ანგაჟირებულობა უნდა ჩაითვალოს. თავისთავად, დღევანდელი ქართული ჟურნალისტიკა იქცა ბიზნესად, რომელშიც ზუსტად იგივე კანონები მოქმედებს, როგორც საბაზრო ეკონომიკის ნებისმიერ სხვა სფეროში; და რადგან ჩვენი საბაზრო ეკონომიკა, ობიექტურად უნდა ვაღიაროთ, ძალზე შორსაა ჭეშმარიტი ბიზნესისაგან და მეტწილად ველური კაპიტალიზმის პრინციპებს ეფუძნება, ქართული მედია გამონაკლისი ვერ იქნება. თუ ჩვენი ჟურნალისტიკა ხელს აიღებს ანგაჟირებულობაზე, ასეთ შემთხვევაში მან უნდა დახუროს თავისი დუქანი, უფულოდ დარჩეს და უმუშევართა არმიას შეუერთდეს. მკითხველი და მაყურებელი, ჯერ კიდევ ეგრეთ წოდებულ ახლო წარსულში, ისე იყო გაწაფული სტრიქონებს შორის სიმართლის ამოცნობასა და ამოკითხვაში, რომ ოფიციალური პრესა და ტელევიზია ვერაფერს გამოაპარებდა და მიაჩუმათებდა. ახლა იგივე მკითხველი და მაყურებელი, წამოჩიტულ ახალ თაობასთან ერთად, ისეა გავარჯიშებული, რომ შეუმცდარი ალღოთი ასხვავებს შეკვეთილ და შეუკვეთელ გადაცემებსა და პუბლიკაციებს; მეტიც, უჩინარ დამკვეთთა ვინაობის გამოცნობაც კი შეუძლია.

თავი და თავი ასეთი სიტუაციისა, უწინარესად, ჩვენი ეკონომიკური უძლურებაა. ადამიანების ფსიქიკა დამოკიდებულია ეკონომიკურ-ფინანსურ გარემოზე. რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ და გავაიდეალოთ წარსული ეპოქები და წინაპრები, - აი, მათგან უნდა ვისწავლოთ უანგარობა და პატიოსნებაო, - მთავარი მაინც კონკრეტული ისტორიული კონტექსტი და დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობაა. აი, რატომ არის ყველაზე მთავარი ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის რაც შეიძლება სწრაფად შეცვლა; ყველაზე მთავარი კი არა, უფრო მეტი - სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაა. ცინიზმია, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ საზოგადოების სინდისის, პატიოსნებისა და ზნეობის ხარისხი ეკონომიკური მდგომარეობის პირდაპირ პროპორციულია. თუ ადამიანი დღეს აკეთებს იმას, რასაც არ აკეთებდა გუშინ, ეს იმას ნიშნავს, რომ ის გუშინდელზე უარესად ცხოვრობს. ასევე, თუ ადამიანი გუშინ დემაგოგიას ვერ იტანდა, არ უნდა გაგვიკვირდეს ახალ ეკონომიკურ გარემოში ცხოვრების გამო, მისი შემწყნარებლური დამოკიდებულება დემაგოგიური ფილოსოფიისადმი. დღევანდელი მედია, ალბათ, დამოუკიდებელია, ყოველ შემთხვევაში - წინანდელთან შედარებით; მაგრამ იგივე მედია მეტწილად არ არის დამოუკიდებელი, რადგანაც საკუთარი თავის რჩენა არ შეუძლია და დამკვეთზე ან ანონიმურ დამკვეთზეა დამოკიდებული. საბოლოო ჯამში, საზოგადოება იღებს დაკვეთილ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება დაემთხვეს ან არ დაემთხვეს ობიექტურ სინამდვილეს. შეიძლება თუ არა, ეს პრაქტიკა უკლებლად მთელ მედიაზე გავრცელდეს? ეს მკრეხელობა იქნებოდა. მაგრამ რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, ტიპური სურათი გახლავთ. ჩვენი საზოგადოება და მისი უპირველესი პარტნიორი, მედია, მოჯადოებულ წრეში, ანუ სპეციფიკურ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში ტრიალებენ და იძულებით ასრულებენ ახალი დროის წესებს. პოპულისტები ხელისუფლებიდანაც და ოპოზიციიდანაც ეფემერულ და არარეალურ დაპირებებს იძლევიან; მაგრამ დაპირებებსა და რეალიზაციას შორის ისეთივე მანძილია, როგორც ცასა და დედამიწას შორის. ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება არა მარტო პოლიტიკოსების, არამედ ეკონომისტების, სოციოლოგების და იურისტების პროგნოზები და შეფასებები. აქაც შეუმცდარად შეიძლება გამოვიცნოთ, რომელ პარტიას ან ჯგუფს განეკუთვნება ესა თუ ის სპეციალისტი. მუსიკას აქაც ფული და გავლენა უკვეთავს. მოტყუებული ამ თამაშებში მხოლოდ საზოგადოებაა: იგი ვერასდროს შეიტყობს სიმართლეს, რადგანაც ყველა მხარე ტენდენციურია და არც შეიძლება იყოს სხვანაირად, რადგანაც კომუნისტების შემდეგ არც ერთი დღით არ შემწყდარა პათოლოგიური ფორმებით ძალაუფლებისათვის ბრძოლა. შესაძლოა, სწორედ აქედან იღებს სათავეს ხელისუფლებისა და საზოგადოების ყველა შტოს კორუფცია, უმწვავესი დაპირისპირებები, არნახული დემაგოგია და პოპულიზმი. ჩვენ ვგავართ ნაფოტს, რომელსაც თავის ნებაზე ათამაშებს მდინარის ტალღები. ეს მდინარე არის რევოლუცია, რომელიც აუცილებლად უნდა დაგვეწყო, ავად თუ კარგად, ქართული სახელმწიფოს შესაქმნელად. ჩვენ შევქმენით ეს სახელმწიფო, ჩვენ ეს შევძელით, მაგრამ ახლა არანაკლები ზეამოცანის წინაშე ვდგავართ - გადავარჩინოთ ჩვენივე შექმნილი ქართული სახელმწიფო. ეს პათეტიკური ფრაზაა, ოღონდ კეთილშობილური სურვილით ნათქვამი. მაგრამ, საბოლოო ჯამში, მნიშვნელობა აქვს არა ფრაზებს, არა მოწოდებებს ან დაპირებებს, არამედ რეალურ შედეგს, ან რეალურ მოძრაობას მაინც. ამერიკელების საყვარელი წინასაარჩევნო სენტენციაა: მიეცით ხმა იმას, ვინც ნაკლებს გპირდებათ. ჩვენ ვიქეცით დაპირებების ქვეყნად, რაც სიღარიბის უპირველესი მკვებავი წყაროა. და არა მარტო სიღარიბის: სიცრუის, ფარისევლობის, ანგარების, გაუტანლობის, ჩასაფრების, შურის, ღალატის...



ზოგადი ფრაზებიდან ზოგად კონცეფციებზე გარდამავალი ერი ვართ. კონკრეტული საქმე არ გვიყვარს. მოწოდებებით ვიკვებებით ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში. მოვუწოდებთ ყველაფერს: ხელისუფლების ძალით დამხობიდან, სამინისტროებისა და უმაღლესი სასწავლებლების გაუქმებით დამთავრებული (არ ვგულისხმობ სოკოებივით მომრავლებულ ალმა-მატერებს). ესაა ქაოსი. ესაა მოჯადოებული წრე. ხალხს არ სჯერა არც ხელისუფლების, არც ოპოზიციის, არც კანონის, საერთოდ არაფერი სჯერა. მაგრამ ეს ხალხის ბრალი არ არის, ისევე როგორც შეუძლებელია დაადანაშაულო პალესტინელი ხალხი, რომელიც ისე იქცევა და ისე გამოხატავს თავის პოზიციას, როგორც სიტუაციამ და კონკრეტულმა პოლიტიკურმა პირობებმა ასწავლა. უბედურება ის არის, რომ ქართულ საზოგადოებას გამოეცალა აზროვნებისა და სულიერების მასაზრდოებელი წყაროები. დღეს იგი იქცა კრიმინალური ქრონიკის, ანგაჟირებული პერიოდიკის, შეკვეთილი პუბლიკაციების მომხმარებლად. იგი ვერ იღებს და ვერც მიიღებს სულიერების საზრდოს და პოლიტიკური სიტუაციის რეალურ ანალიზს, რადგანაც ეს სფეროები დღეს კომერციულად და პოლიტიკურადაც მომგებიანი არ არის. საზოგადოება "შერჩევით" ერკვევა იმაში, რაც მის თავს ხდება. მას ხშირად ატყუებენ პოლიტიკოსები და ეკონომისტები, რომლებიც მისი უცოდინრობით, სრული არაკომპეტენტურობით და, შესაბამისად, მალემრწმენობით სარგებლობენ. მაშასადამე, საზოგადოება ვერ უწევს რეალურ კონტროლს ხელისუფლებას, ვერც მის კორუმპირებულ სისტემებს, ვერც მღვრიე პოლიტიკურ ლანდშაფტს. საზოგადოება, უკეთეს შემთხვევაში, სტიქიური გამოსვლებით და მიტინგებით კონტროლს უწევს ლოკალურ უბნებს. საბოლოო ჯამში, ეს მთავრდება მხოლოდ ეი-ი-ეს-ის ცალკეული ობიექტის შტურმით ან საკონსტიტუციო სასამართლოს დაშინებით. მაგრამ ამგვარი სტიქიური ან ორგანიზებული აქციები მაინც კოსმეტიკური ზომებია და ქვეყანაში ამინდს ვერ ცვლის. ესეც ჩვენი დღევანდელობის პორტრეტის ზოგიერთი შტრიხია, რომელიც მხოლოდ ორ მთავარ ცნებას ნიშნავს: ეკონომიკურ უძლურებას და კანონის სრულ უგულებელყოფას. კანონი კი იკანონებს მხოლოდ მაშინ, როცა დასაწყისისათვის საზოგადოება მარტო ისე კი არ იცხოვრებს, როგორც დღეს ცხოვრობს, არამედ ყოველდღიურად არ გამოიკვებება დემაგოგიური პროდუქციით და უპერსპექტივო დაპირებებით. ჩვენი ამომრჩეველი არ არის დამნაშავე არც იმაში, რომ მეტწილად არ აინტერესებს არჩევნები; არც იმაში, რომ საკუთარი სურვილის წინააღმდეგ აძლევს ხმას იმ პოლიტიკურ ძალას, რომლისაც არ სწამს; არც იმაში, რომ უნდობლობას უცხადებს ყველას და ყველაფერს, რაც მის გარშემოა. ეს თავად ჩვენ შევქმენით სიტუაცია, რომელიც თრგუნავს ადამიანს, მის ნებას, მის თვალსაზრისს და, საბოლოო ჯამში, ფსიქიკას. შესაბამისად, მრუდდება მისი მსოფლმხედველობა ზოგადად და კონკრეტული მოვლენების აღქმა კერძოდ. დღევანდელმა ქართველმა არ იცის, ვის დაუჯეროს, და ამიტომ იძულებით უჯერებს იმას, ვინც უკეთესად და ხშირად უწყობს შოუ-ბიზნესით გაჯერებულ პოლიტიკურ დემაგოგიურ სპექტაკლებს. ყოველივე ამას ახლავს უფართოესი კრიმინალური ჟანრი, რომელიც ერთი მხრივ ადამიანში ქვენა გრძნობებს აღვიძებს, მეორე მხრივ კი, ცხოვრებისეული პერიპეტიებით გაბოროტებას უცნაურ სალბუნად ედება. აი, ასეთ პოტენციურ ამომრჩეველს ელოდება 2 ნოემბრის არჩევნები.

ამბობენ, თითქოს საქართველოს ბედი ამ არჩევნებმა უნდა გადაწყვიტოს. ძნელი სათქმელია, რამდენად გამოდგება იგი, ზემოდასახელებული და სხვა მიზეზების გამო, ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სიმწიფისა თუ უმწიფარობის საზომად, რადგან ჩვენს ამომრჩეველს წლების განმავლობაში დავუკარგეთ ყველაზე მთავარი - მოვლენებისა და სიტუაციის ობიექტურად და მიუკერძოებლად შეფასების უნარი. მაგრამ ამომრჩეველი არ არის რაღაც განსაკუთრებული, მითიური თუ მისტიკური ცნება - ამომრჩეველი იმ საზოგადოების და იმ პოლიტიკური თუ ეკონომიკური სინამდვილის პროდუქტი გახლავთ, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღევანდელი პოლიტიკური მასკარადით გაბრუებულ ამომრჩეველს არ დაუკარგავს ის, რაც ნებისმიერ ცოცხალ არსებას და, მით უმეტეს, ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება - თვითგადარჩენის ინსტინქტი. აი, სწორედ ამ ინსტინქტმა უნდა უკარნახოს ამომრჩეველს, ენდოს ამერიკელთა პრინციპს: მისცეს ხმა იმას, ვინც ნაკლებ დაპირებას იძლევა.

*პრესომბუდსმენი*

# მომავალ ორშაბათამდე

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

**ეკა კვესიტაძე** ვაშინგტონიდანაც არ გვასვენებს. აი, 25 ივლისისთვის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ევრაზიის ბიუროს დირექტორის მოადგილესთან, **ლინ პასკოსთან** ინტერვიუ გამოგვიგზავნა — *საქართველოს აქვს შანსი*. საინტერესო სათაურია: სიტყვა "შანსი" ყოველთვის რაღაც ისეთს ნიშნავს, რაც შეიძლება დაიკარგოს. რატომ მაინცდამაინც ამ ნეგატიურ ასპექტს ვუთმობ ყურადღებას? — თუ ოდნავ მოვიკრებთ გონებას, მივხვდებით, რომ იდეათა და მნიშვნელობათა უხილავ სივრცეში, რომელსაც ყველაზე უკეთ ალბათ პოლიტიკოსი უნდა აკონტროლებდეს, ნახევრად სავსე და ნახევრად ცარიელი ბოთლი სულაც არაა ერთი და იგივე...

პოლიტიკოსის ხელოვნება მხოლოდ იდეათა რეალიზაცია კი არა, ზოგჯერ რეალობის იდეებით შენიღბვა და შერბილებაცაა. ერთხელ უკვე ვცადეთ ამერიკელ პოლიტიკოსთა ნათქვამის ანალიზი. ახლაც ამ გაკვალულ ბილიკს გავყვებით. ლინ პასკო ამბობს: **"ყველამ იცის, რომ ორ წელიწადში შევარდნაძეს საპრეზიდენტო ვადა ეწურება და ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიოთ, ამიტომ ეს რამდენიმე წელი გადაწყვეტს, თუ როგორი ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება საქართველო"**. დასკვნები შემდეგია: 1) საქართველო სახელმწიფოდ არ ჩამოყალიბებულა; 2) ეს სასურველი ჩამოყალიბება იმაზეა დამოკიდებული, როგორ არჩევანს გააკეთებს საქართველო შევარდნაძის შემდეგ; 3) იმედი, რომ საქართველო სახელმწიფოდ შევარდნაძის ხელში ჩამოყალიბდება, არ არსებობს. ასე ფიქრობენ ამერიკაში. მაგრამ ასე ვფიქრობთ ჩვენც. არა მარტო ვფიქრობთ, არამედ ხანდახან ხმამაღლაც გამოვთქვამთ იგივე აზრებს, ხანდახან ზედმეტად ხმამაღლადაც.

გვეხმარება თუ არა ეს? — როგორც ეტყობა, არა, რადგან იდეათა სამყაროში ერთი და იგივე ხშირად სულ სხვადასხვა რამეს ნიშნავს. ახლავე გასაგები გახდება, რასაც ვგულისხმობ. ლინ პასკო განაგრძობს: **"საქართველოს ნაცვლად ამ პრობლემებს ჩვენ ვერ მოვაგვარებთ. ჩვენ მხოლოდ დახმარება შეგვიძლია.** — რასაკვირველია. — **თქვენ კი ამბობთ, რასაკვირველიაო, მაგრამ ძალიან ხშირად პოლიტიკოსები მოდიან და ჩვენგან პრობლემების მათ მაგივრად გადაწყვეტას ითხოვენ"**.

გამოდის, რომ ძალიან ძნელია გავარკვიოთ: ჩვენი თვალსაზრისი იდეური და ზნეობრივი არჩევანია, თუ უბრალოდ სავარაუდო პატრონისთვის გადახდილი ხარკია — პატრონისთვის, რომელმაც ყველაფერი თვითონ უნდა მოაგვაროს და თან გვასვას და გვაჭამოს, გვწრთნას და აღგვჭურვოს კიდეც.

ოღონდ პატრონი ერთი კი არა, ორია. აი, თვით შევარდნაძე მშვენივრად გარკვეულა სიტუაციაში: მარცხენა ხელით ელგუჯა მეძმარიაშვილს ურეკავს და ბეიკერის გეგმის გაყვანას უბრძანებს, მარჯვენათი კი რუსეთის ენერგოსისტემაში გვხლართავს. თითქოსდა ვერაფერს იტყვი, რადგან სახარების თანახმად მოქმედებს ედუარდ-გიორგი: *"რაჟამს ჰყოფდე ქველის საქმესა, ნუ სცნობნ მარცხენე შენი, რასა იქმოდის მარჯუენე შენი"* (მათე, 6-3). მაგრამ ოდნავი მოთმინება და ვნახავთ, რომ ქვემოთ ისიც წერია: *"ვერვის ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუაი იგი შეიყუაროს, ანუ ერთისაი მის თავს-იდვას და ერთი იგი შეურაცხ-ყოს"* (მათე, 6-24).

ედუარდ-გიორგი მაინც იმას აკეთებს, რასაც ათწლეულების განმავლობაში მიეჩვია, როცა ჩაის გეგმას "ასრულებდა". იმედია, სიცოცხლის ბოლოს მაინც მიხვდება, რომ არც ვაშინგტონი გაუცვლის გაზსა და ნავთობს ნამგლით მოკრეფილ "მწვანე ოქროზე" და აღარც მოსკოვი არიგებს გარდამავალ დროშებს.

ასე თუ ისე, აქ ყველაფერი აშკარაა. აი, პარლამენტში კი იგივე მდგომარეობა გაცილებით უფრო ძნელად ვითარდება. უბრალოდ, სუბიექტთა სიმრავლის გამო. გასულ კვირას "24 საათი" 22-დან 24 ივლისამდე თვალს ადევნებდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების გარშემო პარლამენტში განვითარებულ დრამას. ეს თუნდაც სათაურებს ეტყობა: *ბეიკერის გეგმა ინგრევა, ბეიკერის გეგმიდან შევარდნაძის "გეგმისაკენ", ბეიკერისეულმა მოდელმა დღევანდელ ცესკო-ს აჯობა*. სამდღიანი ეპოპეა, როგორც ვხედავთ, გაწელილი ვარიანტია ედუარდ-გიორგის გულში მიმდინარე შინაგანი ბრძოლისა, ან, უფრო სწორად, შინაგანი გაორებისა. აქაც იგივე გაორებაა, ოღონდ რამდენიმე დაჯგუფებაზე გადღაბნილი. ამის გამო ის უფრო ჰგავს ბრძოლას, თუმცა კი უბრალო წუწუნი და ფუთფუთია. სათაურებთან ერთად ამ სამი სტატიიდან ციტატებიც ვნახოთ. 22 ივლისი: **"საყოველთაო აღმაფრენა, რომელსაც ქართული პოლიტიკური სპექტრი ბეიკერის ვარიანტის მიმართ ამჟღავნებდა, ერთგვარად მოულოდნელიც კი იყო. გარკვეულ ძალებს, ალბათ, მართლაც გულწრფელად მოსწონდათ ამერიკელის მიერ შეთავაზებული შეთანხმების პროექტი, მაგრამ სხვები აშკარად ცრუობდნენ და ფარისევლობდნენ"** (როგორ შევიკავო თავი იმის თქმისგან, რომ ორი კვირით ადრე ზუსტად ასეთივე დასკვნა გამოვიტანე და გამოვაქვეყნე კიდეც). 23 ივლისი: **"ზოგად დებულებებს თითქოს ყველა ეთანხმებოდა, მაგრამ როდესაც საქმე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაზე მიდგა, მაგამდე არსებულმა ყველა წინააღმდეგობამ ერთბაშად იჩინა თავი და ვითარება, რბილად რომ ვთქვათ, ბუნდოვანი გახადა"**. 24 ივლისი: **"ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, რა უთხრა მან** (შევარდნაძემ — *ნ. ლ.*) **ტელეფონით ელგუჯა მეძმარიაშვილს, თუმცა ამ საუბრის შემდგომ პრეზიდენტის მხარდამჭერთა პოზიცია რადიკალურად შეიცვალა ... ცესკო-ს დაკომპლექტების ახალ მოდელს წინააღმდეგობა არ შეხვედრია"**.

ახლა კი ამ მარტივ კითხვებზე გავცეთ პასუხი: 1) რას უზრუნველყოფს ბეიკერის გეგმად წოდებული პრინციპი? — არჩევნებზე მიღებული ხმების შესაძლო სამართლიან დათვლას, მეტს არაფერს. 2) რისთვის იბრძვიან ისინი, ვინც ამ გეგმას არ ეთანხმება? — უკვე მიღებული შედეგების შეცვლაზე მაქსიმალური კონტროლისათვის. 3) ვინ შეიძლება იბრძოდეს ამისათვის? — ის, ვინც დარწმუნებულია, რომ სიმართლე მის წინააღმდეგაა. აქ კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს **დავით ბერძენიშვილის** ვარაუდი იმის შესახებ, რომ **"აღორძინების წევრები არჩევნების ბოიკოტირებით იმიტომ იმუქრებიან, რომ ნორმალურად და დემოკრატიულად ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების პირობებში ისინი საარჩევნო შვიდპროცენტიან ბარიერს ვერ გადალახავენ"** (25 ივლისი, *ასლან აბაშიძის მთავარი იარაღი*).

საბოლოო ჯამში საოცარი მდგომარეობა მივიღეთ. არის ინდივიდუალური შევარდნაძე, რომელსაც ორი შესაძლებლობიდან ორივეს არჩევა უნდა და ამიტომ ვერასოდეს ირჩევს რამეს. იგი იმ მაიმუნს ჰგავს, რომელმაც გახვრეტილ გოგრაში ჩაყრილი ბრინჯი ჩაბღუჯა და ვერ ხვდება, რომ ხელის ამოსაღებად ბრინჯის ნახევარი მაინც უნდა დათმოს. მაგრამ არსებობს კოლექტიური შევარდნაძეც. ამ უკანასკნელს უფრო ხშირად "პოლიტიკურ სპექტრს" უწოდებენ. ინდივიდუალური შევარდნაძის გაორება მასში სრულადაა წარმოდგენილი, ამიტომ ეს კოლექტიური შევარდნაძეც ვერაფერს ირჩევს და მუდამ ბარბაცებს, მუდამ რაღაც შემთხვევაზეა დამოკიდებული...

ორივე კი ბატონს ეძებს. არ გჯერათ? — მაშინ ცოტა მოთმინება კიდევ იქონიეთ და ამ კითხვაზეც მიპასუხეთ: რომელი ეროვნული ვალუტის ბანკნოტებზე არსებობს ინგლისური წარწერა? — მე მხოლოდ ქართულზე შემხვედრია და კიდევ იმ ქვეყნების ვალუტაზე, სადაც ინგლისური სახელმწიფო ან ოფიციალური ენაა. ამ "წვრილმანშიც" და რიგგარეშე სესიის მიმდინარეობაშიც ერთი და იგივე რამ გამოვლინდა — ქართველების ვასალური ბუნება.

რა უნდა ქნას კაცმა? როგორ უნდა იცხოვროს ამ ქვეყანაში? — ეჰ, თავს მოვიკლავდი, მაგრამ ესეც რისკთანაა დაკავშირებული: ვაი თუ მაინც გადავრჩი და მერე ვინმემ, თუნდაც გულის სიღრმეში, მიიჩნიოს, რომ ლეიბორისტთა პარტიას ვეკუთვნი.

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება(GTZ) 2003 წლის 1 სექტემბრიდან აცხადებს ვაკანსიას პროექტის ასისტენტის თანამდებობაზე.

მოვალეობანი:
- ბუღალტერიის წარმოება;
- ადმინისტრაციული საქმიანობა.

მოთხოვნები:
- უმაღლესი განათლება;
- გერმანული და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა (აუცილებელი მოთხოვნაა გერმანულად გამართული წერა);
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნაც;
- სასურველია სპეციალური ცოდნა ან გამოცდილება ბუღალტერიის წარმოებაში;
- კარგი ორგანიზატორული უნარ-ჩვევები;
- ჯგუფური მუშაობის უნარი.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა მოგვაწოდონ შემდეგი საბუთები:
- CV;
- მოტივირებული განცხადება;
- ყველა დიპლომი და შესაბამისი დოკუმენტების ასლები.

განცხადებები გამოგზავნეთ შემდეგ მისამართზე:
საკონტაქტო პირი: შალვა პაპუაშვილი, თამუნა გურეშიძე
განცხადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2003 წლის 11 აგვისტო
E-mail:gtz_law@geo.net.ge

# ისრაელმა პალესტინელი პატიმრების გათავისუფლება დაიწყო

ისრაელის მინისტრთა კაბინეტმა ხმათა უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება ასი პალესტინელი პატიმრის გათავისუფლების თაობაზე. მათ შორის ისეთი ექსტრემისტული პალესტინური ორგანიზაციების წევრებიც არიან, როგორიც "ჰამასი" და "ისლამური ჯიჰადია." ისრაელის სახელმწიფო რადიოს და არმიის ოფიციალური წარმომადგენლების ცნობით, მინისტრთა კაბინეტის აღნიშნული გადაწყვეტილება პალესტინის მიმართ კეთილი ნების გამოხატულებაა.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღეში პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი ოფიციალური ვიზიტით შეერთებულ შტატებში მიემგზავრება. პალესტინელი პატიმრების გათავისუფლება კი, რომელიც სამშვიდობო გეგმის "საგზაო რუკის" ერთ-ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს, ექსპერტთა თქმით, სწორედ ამ ვიზიტისათვის გათვლილი ნაბიჯია. ისრაელის პრემიერმა სამშვიდობო გეგმისადმი თავისი მხარდაჭერა უნდა დაამტკიცოს.

გასულ პარასკევს, ვაშინგტონში, პალესტინის პრემიერ-მინისტრი მაჰმუდ აბასი აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მიიღო. მოლაპარაკების ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს სწორედ პალესტინელი პატიმრების გათავისუფლება წარმოადგენდა. საქმე ის არის, რომ გასული კვირის დასაწყისში ისრაელის მთავრობამ პალესტინელი პატიმრების გამოშვებაზე უარი განაცხადა და ეს გადაწყვეტილება უსაფრთხოების ფაქტორით ახსნა. თელ-ავივი ამტკიცებდა, რომ ტერორიზმში ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირების გათავისუფლება მდგომარეობის დაძაბვას გამოიწვევდა. პალესტინელმა პრემიერმა კი "საგზაო რუკის" ინიციატორს – ჯორჯ ბუშს ისრაელზე ზეწოლის მოხდენა სთხოვა.

მაჰმუდ აბასის თქმით, პალესტინელი პატიმრების ისრაელის ციხეებში დატოვება რადიკალურ ორგანიზაციებს – "ჰამასსა" და "ისლამურ ჯიჰადს" ცეცხლის განახლების საბაბს მისცემდა. ეს კი, რასაკვირველია, სამშვიდობო პროცესისათვის გამოუსწორებელი დარტყმა იქნებოდა.

ექსპერტების თქმით, გუშინდელი გადაწყვეტილება, პალესტინელების გათავისუფლების თაობაზე, არიელ შარონის პოლიტიკაში 180-გრადუსიან შემოტრიალებას ნიშნავს. ისრაელის პრემიერ-მინისტრი აცხადებდა, რომ გაათავისუფლებდა მხოლოდ იმ პალესტინელებს, რომელთაც ტერორისტულ აქტებში არანაირი ბრალი არ მიუძღვით. გუშინ კი ისრაელის ციხეები "ჰამასის" და "ისლამური ჯიჰადის" აქტივისტებმაც დატოვეს. თუმცა, ისრაელის საპატიმროებში კვლავ რჩება, დაახლოებით, 6 ათასამდე პალესტინელი, რომელთა გათავისუფლებასაც პალესტინის მხარე "საგზაო რუკის" უმთავრეს პირობად თვლის.

# აზერბაიჯანის ოპოზიციამ ხელისუფლების რისხვა დაიმსახურა

ბაქოში აზერბაიჯანის ოპოზიციური გაზეთის "ენი მუსავათის" მთავარი რედაქტორი დააპატიმრეს. ამის თაობაზე, თავად გაზეთმა გაავრცელა ცნობა, რომლის თანახმადაც, მთავარი რედაქტორი რაუფ არიფოღლუ აზერბაიჯანის სპეცსამსახურების თანამშრომლებმა მისივე სახლის ზღურბლზე დააპატიმრეს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა კი განაცხადეს, რომ არიფოღლუს დაპატიმრება მხოლოდ ერთი საათით მოხდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მთავარმა რედაქტორმა საგზაო პოლიციის თანამშრომელს შეურაცხყოფა მიაყენა.

"ენი მუსავათი," აზერბაიჯანის ოპოზიციური პარტია "მუსავათის" ბეჭდვითი ორგანოა.

პარტიის მომხრეები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტის მკვეთრი კრიტიკის გამო აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მათ ორგანიზაციას ბრძოლა გამოუცხადა. ეს მართლაც ასეა. გაზეთი "ენი მუსავათი" უკვე რამდენიმე წელია, რაც პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის პოლიტიკის კრიტიკით არის დაკავებული. ბოლო თვეებში გაზეთის ფურცლებზე გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტი კომაში იმყოფება და არათუ ქვეყნის მართვა, არამედ სიარულიც კი აღარ შეუძლია. "ენი მუსავათის" ჟურნალისტები ამის თაობაზე თურქულ წყაროებს ეყრდნობოდნენ. გასულ კვირას კი, აზერბაიჯანის ოპოზიციურმა ორგანიზაციებმა ხელისუფლებას იმის დამტკიცება მოსთხოვეს, რომ ჰეიდარ ალიევს მართლაც შესწევს ქვეყნის მართვის უნარი. ასეთმა მოთხოვნამ აზერბაიჯანის მთავრობის რისხვა გამოიწვია.

**"ჩვენ შეგვეძლო დაგვესაჯა ოპოზიციის ლიდერები ასეთი ულირსი საქციელისათვის, მაგრამ ისიც საკმარისია, რომ აზერბაიჯანელი ხალხი მათ არაფრად აგდებს,"** - განაცხადა აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრმა რამილ უსუბოვმა. თუ რაში გამოიხატება ოპოზიციის ულირსი ქმედება, მას არ დაუკონკრეტებია.

# "ბოინგი" ჯაშუშობისათვის დაისაჯა

აშშ-ს საჰაერო ძალების სარდლობამ სამაგალითოდ დასაჯა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ავიამწარმოებელი "ბოინგი." ამის მიზეზად ახლახან ატეხილი სკანდალი გახდა, რომელიც "ბოინგის" მიერ თავდაცვითი მრეწველობის სფეროში მისი უპირველესი კონკურენტის, "ლოკჰიდ მარტინის" წინააღმდეგ კომერციული შპიონაჟის განხორციელებას ეხებოდა.

საუბარია 1998 წლის მოვლენებზე. ამ დროს "ბოინგსა" და "ლოკჰიდს" შორის სამთავრობო კონტრაქტებისათვის დიდი ბრძოლა მიდიოდა, რომელიც საბოლოოდ "ბოინგის" გამარჯვებით დასრულდა. კომპანიამ 28 ტენდერიდან, რომლებიც სამხედრო თანამგზავრების გაშვებაზე აშშ-ს საჰაერო ძალებმა გამოაცხადა, 21 მოიგო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, "ბოინგმა" ამას კომერციული შპიონაჟის წყალობით მიაღწია. ერთ-ერთმა თანამშრომელმა "ლოკჰიდიდან" დაახლოებით 25 ათასი ცალი დოკუმენტი მოიპარა, რომელთა მეშვეობითაც "ბოინგმა" დაწვრილებით შეისწავლა კონკურენტის მიერ შემუშავებული პროექტები და ტენდერების მოგებაც არ გასჭირვებია.

"ბოინგის" ხელმძღვანელობამ ბოდიში მოიხადა და საქმიან სამყაროს გამოსწორებას შეჰპირდა. მაგრამ აშშ-ს საჰაერო ძალები ამ მონანიებამ ვერ დაარწმუნა. "ლოკჰიდისათვის" მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად საჰაერო ძალების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ახალი სარაკეტო სისტემების ტენდერზე "ბოინგს" მონაწილეობის უფლება საერთოდ არ მისცეს, ხოლო "ბოინგისათვის" გადაცემული 1 მილიარდის ღირებულების რამდენიმე კონტრაქტი "ბოინგს" ჩამოერთმევა და "ლოკჰიდს" გადაეცემა.

ცხადია, ეს ვერაფერი ნუგეშია "ბოინგისათვის," რომელიც სამოქალაქო ავიაციის სფეროში ბოლო ხანს "ეარბასმა" აშკარად შეავიწროვა. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ამერიკულმა გიგანტმა 192 მილიონი დოლარი იზარალა, რაც სწორედ სამოქალაქო ლაინერებზე დაკვეთების დაცემამ გამოიწვია. ასეთ ვითარებაში "ბოინგისათვის" შემოსავლის უმთავრეს წყაროს სამხედრო კონტრაქტები წარმოადგენს, მაგრამ შპიონაჟის სკანდალი კომპანიას ამ სფეროშიც დიდ პრობლემებს უქმნის.

"ლოკჰიდი" კი სულაც არ აპირებს, 1-მილიარდიანი კონტრაქტების მიღებით დაკმაყოფილდეს. კომპანია "ბოინგს" სასამართლოში უჩივის და ზარალის სრულ კომპენსირებას ითხოვს. საქმეს უკვე აშშ-ს მართლმსაჯულების დეპარტამენტმა მოჰკიდა ხელი და "ბოინგს" კიდევ რა ელის, არავინ იცის.

# მკვლელობის მოტივი მეზობლებს უსაფუძვლოდ მიაჩნიათ

ვასილ გულეური
გორიდან

26 ივლისს, დაახლოებით ღამის 2 საათზე გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში მკვლელობა მოხდა. 25 წლის არჩილ დათუაშვილი მისმა მეზობელმა, დავით ბაბაშვილმა სანადირო თოფით მოკლა.

როგორც მეზობლები აცხადებენ, მათ ერთობლივ მფლობელობაში ჰქონდათ რკინის საამქრო, რაც კონფლიქტის მიზეზი გახდა. საგამოძიებო დეპარტამენტის გორის განყოფილების უფროსმა ვანო სამხარაძემ კი განაცხადა, რომ წინასწარი გამოძიების საფუძველზე, არჩილ დათუაშვილი თავს დაესხა ბაბაშვილს, რომელმაც თავდაცვის მიზნით მოკლა იგი.

მეზობლები ამ ვერსიას უსაფუძვლოდ მიიჩნევენ, რადგან მათი თქმით, გარდაცვლილი, რომელიც ბებიამ ობლობაში გაზარდა, ძალზე შრომისმოყვარე და წყნარი პიროვნება იყო, ხოლო მკვლელი - ჩხუბისთავი.

იმავე საღამოს მოკლულის მეზობლებმა პროტესტის ნიშნად გადაკეტეს გორი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალი და ითხოვდნენ, რომ მომხდარ დანაშაულს სწორი კვალიფიკაცია მისცემოდა და საინფორმაციო საშუალებებში ობიექტური ინფორმაცია გადაცემულიყო. მკვლელს, რომელიც თავდებით არის გათავისუფლებული, სამართალდამცავები თუ არ დასჯიან, მეზობლები ლინჩის წესით გასამართლებას უპირებენ.

სატვირთო და სამგზავრო მატარებლების მოძრაობა თითქმის ორი საათით შეჩერებული იყო. გზა მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსი რევაზ კოტიაშვილი აქციის მონაწილეებთან მივიდა და უახლოეს დროში დამნაშავის დასჯას დაჰპირდა.

# შაბათ-კვირას ერაყში ხუთი ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს

პირველი გვერდიდან


REUTERS

შეეპყროთ და გაესამართლებინათ. ჰუსეინის მომხრეები იმ ადამიანის ჩამოხრჩობას მოითხოვენ, ვინც ამერიკელებს ძმების ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მისი სახელია ზავაფ ალზიდანი. იგი სადამის შორეული ნათესავია. ჰუსეინები სწორედ მის სახლში დაცხრილეს. აშშ-ს სამხედრო სარდლობა ამ ცნობას არ ადასტურებს, მაგრამ აცხადებს, რომ ინფორმაციის მომწოდებელი დაპირებულ 30 მილიონ დოლარს აუცილებლად მიიღებს.

ამასობაში ერაყელებს შორის მღელვარება ნელ-ნელა მატულობს. მოსახლეობა უკმაყოფილოა იმით, რომ არ არის ელექტრომომარაგება და წყალი, კვლავინდებურად განუკითხაობაა ქუჩებში. ერაყელების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამერიკელები მათ ქვეყანაში მხოლოდ ნავთობის გამო შემოვიდნენ. პრობლემების არსებობას კოალიციაც არ უარყოფს. "თუ რამდენიმე თვეში ქვეყანაში წესრიგის დამყარება და მოსახლეობის ელემენტარული პირობებით უზრუნველყოფა ვერ შევძელით, ერაყში ვითარებაზე კონტროლს დავკარგავთ", – ნათქვამია პენტაგონის დაკვეთით მომზადებულ სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის მოხსენებაში.

ერაყში ამჟამად აშშ-ს სახმელეთო არმიის ნახევარი იმყოფება, ამიტომ ქვეყანაში დამატებითი ამერიკული სამხედრო კონტინგენტის შემოყვანა თითქმის შეუძლებელია. კოალიციის მთავარი იმედი ამჟამად პარტნიორი ქვეყნებია. ვაშინგტონს იმედი აქვს, რომ მოკავშირეები ერაყში 30 ათას ჯარისკაცს მაინც გააგზავნიან. მეორე იმედი თავად ერაყული არმიისა და პოლიციის ფორმირებაა, რომელიც ამჟამად დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს.

# ახალგაზრდა ოფიცრებმა ფილიპინებში ამბოხება მოაწყვეს

შოთა უტიაშვილი


REUTERS
ფილიპინელი ამბოხებულები

გუშინ ფილიპინელ ოფიცერთა ჯგუფი დედაქალაქ მანილაში მდებარე სავაჭრო კომპლექსში შეიჭრა. მათ შენობა დანაღმეს და პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვენ. კომპლექსში თავიდან რამდენიმე უცხოელი, მათ შორის ავსტრალიის ელჩი იმყოფებოდა, ამბოხებულებმა ისინი გაუშვეს.

ოფიცრები აცხადებენ, რომ ეს არ არის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, მათ მხოლოდ თავიანთი პრეტენზიების საზოგადოებისათვის გაცნობა სურთ. მათ შენობაზე ის დროშა აღმართეს, რომელსაც ფილიპინელები ჯერ კიდევ ესპანეთის წინააღმდეგ ანტიკოლონიურ ომში იყენებდნენ.

პრეზიდენტი აროიო, რომელმაც ულტიმატუმი წაუყენა ამბოხებულებს, აცხადებს, რომ "გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები" ახალგაზრდა ოფიცრებს საკუთარი მიზნებით იყენებენ.

უცხოელი დამკვირვებლები აცხადებენ, რომ მდგომარეობა არ არის ძალიან სერიოზული. ამბოხებულები ცოტანი არიან, თანაც ისინი უკვე იზოლაციაში მოაქციეს. თუმცა, ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ კომპლექსის შიგნით მყოფ ოფიცრებს გარეთ მყოფ კოლეგებთან მეგობრული ურთიერთობა აქვთ.

ოფიცრები აცხადებენ, რომ ისინი ქვეყანაში გამეფებული კორუფციის წინააღმდეგ გამოდიან. მათ განსაკუთრებული პრეტენზიები აქვთ პრეზიდენტისა და თავდაცვის მინისტრის მიმართ. ახალგაზრდა ოფიცრების თქმით, სწორედ თავდაცვის მინისტრი ამარაგებს იარაღით ისლამისტ და მარქსისტ ამბოხებულებს, მათ შორის ცნობილ აბუ-საიაფს, მანვე მოაწყო ტერორისტული აქტების ინსცენირება, რათა ამერიკელებისაგან სამხედრო დახმარება მიეღო. ოფიცრების მტკიცებით, ხელისუფლება აგვისტოში ტერაქტების მთელი სერიის ინსცენირებას გეგმავს, რათა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს და ძალაუფლება შეინარჩუნოს.

ამბოხებულები პოლიციისა და მართლმსაჯულების სისტემის რეფორმას და უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელებისათვის თანამდებობაზე ყოფნის ვადის შეზღუდვას მოითხოვენ. სამხედროებს ფილიპინებში, დაახლოებით, ისეთივე გავლენა აქვთ პოლიტიკურ ცხოვრებაზე, როგორც ჩვენს მეზობელ თურქეთში.

ხელისუფლება ყველა ბრალდებას გადაჭრით უარყოფს და მათ "სასაცილოს" უწოდებს.

საერთაშორისო თანამეგობრობა, მათ შორის აშშ და ავსტრალია აროიოს მთავრობას სრულ მხარდაჭერას უცხადებს. თუმცა, ფილიპინებში გამეფებული კორუფციის შესახებ ყველასათვის კარგადაა ცნობილი. აროიოს წინამორბედი პრეზიდენტი ესტრადა ორი წლის წინ სწორედ უზარმაზარი ქრთამების აღებისათვის დაამხეს. არნახული კორუფციის გამო, ახალგაზრდა ოფიცრებმა მისი წინამორბედის, აკუინოს დამხობაც რამდენჯერმე სცადეს.

გუშინ პრეზიდენტმა ოფიცრებს ულტიმატუმი წაუყენა და მოითხოვა, ხუთ საათამდე დაცალონ შენობა. ხელისუფლება აცხადებს, რომ ოფიცრები სამხედრო სასამართლოს წინაშე წარდგებიან.

ამბოხებულები აცხადებენ, რომ დანებებას არ აპირებენ, რადგან ჩაბარების შემთხვევაში სიკვდილი არ ასცდებათ, რადგან "ძალიან ბევრი იციან".

ამბოხებას ქალაქში პანიკა არ გამოუწვევია. ხმები შესაძლო გადატრიალების შესახებ მანილაში უკვე კვირაზე მეტხანს ვრცელდებოდა. სავაჭრო კომპლექსთან უამრავი ცნობისმოყვარეა შეგროვილი.

# "რაო ეეს როსსიისა" და "გაზპრომის" გაუცხადებელი ინტერესები

პირველი გვერდიდან

2002 წელს შემუშავებული გეგმის მიხედვით, "რაო ეეს როსსიი" და "გაზპრომი" აპირებენ, **"მოაწესრიგონ ეს სექტორი და შემდეგ თავიდან მოიშორონ ეს აქტივები."** ანუ, ორი რუსული ენერგოგიგანტი ჩადებს ინვესტიციებს მთელი რუსეთის კომუნალური მომსახურების სფეროს მონოპოლიზაციაში, შემდგომ კი, რეგიონების მიხედვით, მათ აუქციონზე გაიტანს. ამ ეტაპზე კი "რაო ეეს როსსიი" და "გაზპრომი" ადგილობრივი კომუნალური მომსახურების ობიექტების ხელში ჩაგდებას "ვალების დაფარვის" აპრობირებული მექანიზმით აპირებენ.

ამ თემაზე საუბრის წამოწყებისას ჩანდა, რომ თითქოს, სექტორს კერძო მფლობელობაში გადასვლის არავითარი შანსი არ ჰქონდა: საბრძოლო არენაზე მხოლოდ "რაო ეეს როსსიი" და "გაზპრომი" ჩანდნენ. თუმცა, მას შემდეგ, რაც გადაწყდა, რომ კომუნალური მომსახურების პროექტს რუსული ენერგოგიგანტები "ხანგრძლივი იჯარის" მექანიზმით განახორციელებენ, მსხვილმა კომპანიებმა ყურები ცქვიტეს. ამ დროიდან მოყოლებული, მსხვილი რუსული ფინანსური წრეების მხრიდან ამ სფეროთი სულ უფრო და უფრო მზარდი დაინტერესება დაფიქსირდა. ეს წრეები უკვე ამ ეტაპზევე იმედოვნებენ, რომ "მოწესრიგების" შემდეგ კომუნალური მომსახურების სფერო ერთობ შემოსავლიან ბიზნესად იქცევა. ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ ამ ბოლო დროს რუსეთის ენერგობაზარზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს დიდი ქალაქებისა თუ რაიონების ელექტროენერგიის სადისტრიბუციო ქსელები. მიმდინარეობს ბრძოლა "მოსენერგოს", "ლენენერგოსა" და იმ ადგილობრივი სადისტრიბუციო ქსელების ხელში ჩასაგდებად, რომელთა ბაზაზეც კომუნალური მომსახურების საქალაქო თუ რეგიონული ცენტრების აღმოცენების საშუალება არსებობს. მათ ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს ექიშპებიან რუსული ენერგობაზრის ისეთი გიგანტები, როგორებიცაა "THK", "MDM", "ალფა-ჯგუფი". რუსეთის შორეულ რეგიონებში ადგილობრივი ქსელები ნელ-ნელა შეისყიდეს მსხვილმა ნავთობკომპანიებმა. ამასწინათ კი მოსკოვის მერმა ლუჟკოვმა სრულიად ახალი იდეა წამოაყენა: მან განაცხადა, რომ **"მოსკოვში "მოსენერგოს" ალტერნატიული სტრუქტურის შექმნა სურს."**

ასეა თუ ისე, რუსეთის ენერგოგიგანტებმა კომუნალური სფეროს მონოპოლიზებისაკენ უკვე გადადგეს სერიოზული ნაბიჯები. მაისის ბოლოს კი "რაო ეეს როსსიისა" და "გაზპრომბანკის" 25-25-პროცენტიანი მონაწილეობით და მილიარდიანი საწყისი კაპიტალით რუსეთში სააქციო საზოგადოება "რუსეთის კომუნალური სისტემები" დაფუძნდა. რუსეთის სახელმწიფო ენერგოგიგანტების ახალი კომუნალური პირმშოს დაფუძნებაში 10-10 პროცენტით მონაწილეობენ დახურული სააქციო საზოგადოება "რენოვა", კომპანიები "ინტერროსი", "ევრაზჰოლდინგი", "კუზბასრაზრეზუგოლი" და ბანკი "ევროფინანსი".

რას ნიშნავს ეს? საბჭოთა პერიოდში ელექტროენერგიის, გაზის, ცხელი წყლის, ცივი წყლის, ნაგვის გატანისა და ბინის ქირას სახლმმართველობებში ვიხდიდით, შემდეგ კი ეს მექანიზმი მოიშალა. დასავლეთში გავრცელებულია ამ მომსახურების ცივილიზებული სახე: კერძოდ, ბანკები უზრუნველყოფენ ყველა გადასახადის ერთ საბანკო პუნქტში გადახდას. "რაო"-"გაზპრომის" ახალი იდეა კი გულისხმობს როგორც ამ გადასახადების ამკრეფთა, ისე ამ სფეროს მომსახურე სტრუქტურების (სადისტრიბუციო ქსელების, თბოელექტროცენტრალების, წყალგაყვანილობის) ერთ ორგანიზაციაში გაერთიანებას, შესაბამისად, მომხმარებელთათვის გადახდის პროცედურის გაიოლებას. სამაგიეროდ, ამ ახლადგამოჩეკილ ორგანიზაციას დარჩება საკუთარი წილი როგორც გაზის, ასევე დენის, წყლისა და ცხელი წყლის მომხმარებლისათვის მიწოდებისათვის.

გარდა ამისა, ექსპერტები ასახელებენ კიდევ ერთ ფაქტორს, რის გამოც კომუნალური მომსახურების სფერო გემრიელ ლუკმად არის მიჩნეული და მრავალი კომპანიის მადას აღვივებს. საქმე ის არის, რომ ამ სფეროში მუდმივად მოძრაობს ე.წ. "ცოცხალი ფული", რაც ნებისმიერ კომპანიას ჰაერივით ესაჭიროება.

ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ დსთ-ს სივრცის ქვეყნების ენერგოსექტორებში "რაოსა" და "გაზპრომის" ფეხაწყობილ მარშს ამ ქვეყნების კომუნალური სექტორების მონოპოლიზაციაც მოჰყვეს. ყოველ შემთხვევაში, რუსული ენერგოგიგანტების ბოლოდროინდელი სტრატეგია ამაზე მიუთითებს.

ევრაზიის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა აცხადებს საგრანტო კონკურსს სატრენინგო დაწესებულებებისთვის

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა

კონკურსის ფარგლებში გაიცემა გრანტები მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის კრედიტის მართვაში საგანმანათლებლო პილოტური პროგრამის განსახორციელებლად. ამ პროგრამის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც ამავდროულად გააფართოვებს ბანკების საკრედიტო შესაძლებლობებს.

ტრენინგები დაფინანსდება ქუთაისსა და გორში.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის ბიზნესის სფეროში ტრენინგის ჩატარების გამოცდილება.

კონსულტაცია კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ჩატარდება 2003 წლის 5 და 22 აგვისტოს 15.00 სთ.-ზე, ევრაზიის ფონდის ოფისში

მისამართზე:

კავსაძის ქ. 3, 0179 თბილისი, ტელ/ფაქსი: 25 39 42/43; 22 32 64.
კონკურსზე განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2003 წლის 1 სექტემბერი, 18.00 სთ.
საკონკურსო მასალების მიღება შესაძლებელია ევრაზიის ფონდის ოფისში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე ან ევრაზიის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის ვებ-გვერდზე www.eurasia.org.ge

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ამ დროისათვის თბილისის ისან-სამგორის, ვაკე-საბურთალოს და მთაწმინდა-კრწანისის რაიონის მოსახლეობის ნაწილი კვლავ ბუნებრივი აირის გარეშეა დარჩენილი. „თბილგაზი" სამუშაოების დასასრულებლად თბილისის მერიისგან თანხების გამოყოფას ითხოვს, ხოლო რაც შეეხება ვაკე-საბურთალოს და მთაწმინდა-კრწანისის რაიონებს, იქ ბუნებრივი აირის მიწოდება-შეწყვეტა თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებასთან არის დაკავშირებული. 26 ივლისს სარეაბილიტაციო სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია „ინჟმშენმა" დაიწყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" წარმომადგენლები, კომპანიის ლობისტთან ზურაბ ნოღაიდელთან ერთად, სამეგრელოს ენერგოკომპანიის ხელმძღვანელ პირებს შეხვდნენ. "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალურმა დირექტორმა დევიდ სორნტონმა ზუგდიდის რაიონის გამგებელთან შეხვედრისას განაცხადა, რომ "ამერიკაში ინდიელები მოარჯულა და ზუგდიდელებთანაც არ ექნება პრობლემა". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ენერგეტიკულ გიგანტთან "გაზპრომთან" სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ საქართველოს მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულების რეალიზაციას ნავთობისა და გაზის კომპანია "იტერას" სერიოზული შევიწროება მოჰყვება საქართველოს გაზის ბაზარზე. ამის შესახებ განაცხადა საქართველოში "იტერას" წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა თამაზ პატარიძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ეკონომიკური განვითარებისა და ქალაქის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის მიზნით მერიაში დედაქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება დაიწყო. ამ მიზნით მერიაში სპეციალური ფორუმი გაიმართა. როგორც დამსწრეთ ვანო ზოდელავამ განუცხადა, დედაქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმა 10-15 წლის განმავლობაში გასატარებელ ღონისძიებებს ითვალისწინებს. პროექტის განსახორციელებლად მუნიციპალური განვითარების ფონდი წელს 0,5 მლნ. ლარს გამოყოფს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კომპანია "ბრითიშ პეტროლიუმმა" თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს შენობის გასამაგრებელი სამუშაოებისათვის 32 000 ლარი გამოუყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოში ინფლაციის საშუალო დონე 2003 წლის იანვარ-ივნისში 0,4 პროცენტი იყო, რაც 2002 წლის შესაბამის მაჩვენებელზე ( 0,49) ნაკლებია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მიმდინარე წელს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 80 პარტნიორ ქვეყანასთან. ამჟამად, საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა პირველი ხუთეული ასე გამოიყურება - რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სეპარატისტული აფხაზეთის გეოლოგიის, გეოდეზიის და კარტოგრაფიის სამმართველოს უფროსი პეტრე კაზანბა აცხადებს, რომ ტყვარჩელის მთებში ქვანახშირის მარაგი დაახლოებით 21 მლნ. ტონამდეა, ხოლო ახალი კარიერების მარაგი დაახლოებით 30-40 წლის სამყოფია. თურქმა ინვესტორებმა ორი წლის განმავლობაში ტყვარჩელში 7 მლნ. დოლარზე მეტი დააბანდეს. აფხაზეთის ბიუჯეტი ამის წყალობით წელს 400 ათას დოლარს მიიღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტთა" ახალი საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, იმ ობიექტების პრივატიზება ან მართვის უფლებით გადაცემა, რომელთა საბალანსო ღირებულება 2003 წლის 1 იანვრისთვის 200 ათას ლარს აღემატებოდა, ან რომელთა გასაყიდი ღირებულება 200 ათას ლარს ზევითაა განსაზღვრული, 2004 წლის 1 იანვრამდე უნდა აიკრძალოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ბლოკმა "ახალი საქართველოსთვის" თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში მცხოვრები ბავშვებისთვის თბილისის ზოოპარკში საქველმოქმედო აქცია გამართა. ბავშვებმა ნახეს ჯამბაზების შოუ და მთელი დღის განმავლობაში ზოოპარკის ატრაქციონებით უფასოდ სარგებლობდნენ; აქციის ორგანიზატორებმა პატარებს საჩუქრები და ნაყინიც დაურიგეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ევროპის ეკლესიათა კონფერენციის" მე-12 ასამბლეა 27 ივნისს ნორვეგიის ქალაქ ტრონჰეიმში გაიმართა. „ევროპის ეკლესიათა კონფერენცია" 1997 წელს დატოვეს საქართველოს და ბულგარეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიებმა. საქართველოს საპატრიარქო ასახელებს მიზეზს, თუ რატომ დატოვა საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ევროპის ეკლესიათა კონფერენცია: "მათ სამწუხაროდ, ვერ გაამართლეს მოლოდინი და ვერ მოამზადეს ნიადაგი ჭეშმარიტი ქრისტიანული ერთობისთვის". **მედია-ნიუსი**

რაგბი

# დასჯილ-დაუსჯელი


რამაზ სანებლიძეს პირობითი სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს.

პაატა თოთაძე

გასულ კვირას საქართველოს თასის ფინალური მატჩის შემდეგ მოედანზე დაწყებული დავა ორი დღის წინ საქართველოს რაგბის კავშირში დასრულდა. მსაჯის მოქმედებით უკმაყოფილო ბათუმელებმა მატჩის შედეგი გააპროტესტეს - არბიტრმა თამაში დროზე ადრე დაასრულაო. ამის თქმის საფუძველი ზღვისპირელებს მისცა ტაბლომ, რომლის მიხედვითაც მსაჯის სასტვენის მომენტში მატჩის დამთავრებამდე ჯერ კიდევ ორი წუთი იყო დარჩენილი. როგორც აღმოჩნდა, ეს ბოლო წვეთი იყო ბათუმელთა აღელვებული მწვრთნელის რამაზ სანებლიძისთვის - მსაჯის საქციელით უკმაყოფილოს, კონფლიქტი მოუვიდა რაგბის კავშირის მედია-მენეჯერ გია კუბლაშვილთან. ბუნებრივია, ინციდენტი კავშირის სპორტულ-ტექნიკური კომისიის ინტერესის სფეროში მოექცა და, პროტესტთან ერთად, ესეც მისი განსახილველი გახდა.

საქართველოს რაგბის კავშირში ერთხელ უკვე იმსჯელეს ამ საკითხის შესახებ - მატჩის მეორე დღეს კავშირის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ ბათუმელთა პროტესტი განიხილა, მაგრამ არ დააკმაყოფილა. კომისიის აზრით, ტაბლო გვიან ჩაირთო და ამიტომ არ შეეძლო, ზუსტი დრო ეჩვენებინა. კომისიის იმ სხდომას არ ესწრებოდნენ "დათვების" წარმომადგენლები და, შესაბამისად, სანებლიძესა და კუბლაშვილს შორის მომხდარ კონფლიქტზეც ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილის გარეშე მსჯელობა უმართებულო იქნებოდა.

კომისია მეორედ პარასკევს შეიკრიბა და მტყუან-მართალიც მაშინ გაარჩია. სხდომაზე, რომელსაც, "დათვების" მწვრთნელისა და პრეზიდენტის გარდა, აჭარის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობაც დაესწრო, თავდაპირველად მსაჯის მოქმედება გაარჩიეს. ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ ლეჟავა გაამართლეს, რადგან მატჩის ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ დადგინდა, რომ მსაჯს თამაში დროზე ადრე არ დაუსრულებია - იმ მომენტიდან, როცა ანიშნა, ხუთი წუთი დარჩა სათამაშოო, გუნდებმა ზუსტად ამდენი ითამაშეს. თუმცა, ვიდეოჩანაწერის ნახვის შედეგად გამოჩნდა ის შეცდომებიც, რომლებიც, ბათუმელთა თქმით, ლეჟავამ დაუშვა. მედალს ორი მხარე აქვსო, ნათქვამია. უშეცდომო არავინაა და რალა ლეჟავა უნდა იყოს ასეთი, მაგრამ, მეორე მხრივ, მსაჯი მოედანზე იმისთვისაა, რომ წესების დარღვევა დააფიქსიროს. ბათუმელთა აზრით, ერთ-ერთ ეპიზოდში მსაჯს მათ სასარგებლოდ ტექნიკური ლელო უნდა ჩაეთვალა, მაგრამ სხვაგვარად მოექცა, რამაც გუნდზე უარყოფითად იმოქმედა. ასეა თუ ისე, მთავარი საკითხი, რომელიც მსაჯის მიერ მატჩის უდროოდ დასრულებას ეხებოდა, გაირკვა.

ამის შემდეგ სანებლიძესა და კუბლაშვილს შორის მომხდარ კონფლიქტზე მიდგა ჯერი. თქმა არ უნდა, მწვრთნელი ისე არ უნდა მოქცეულიყო, როგორც მოიქცა, მაგრამ ისიც უტყუარია, რომ მას საამისო მიზეზი ექნებოდა. რალაცამ ან ვილაცამ ხომ მოუშალა სანებლიძეს ნერვები, რალაცამ ან ვილაცამ ხომ გამოიყვანა ის მწყობრიდან. მწვრთნელიც ამ მიზეზების გარკვევისკენ მოუწოდებდა კომისიის წევრებს და სხდომაზე დამსწრეებს. ამ თემაზე საუბარმა დიდხანს გასტანა, მაგრამ, მწვრთნელის თქმით, მიზანი მიუღწეველი დარჩა. "მწვრთნელს, ალბათ, პირობით დისკვალიფიკაციას მისცემენ. სხვაგვარად მალე მწვრთნელობა მინისტრებს, კავშირის წევრებს და სხვებს მოუწევთ", - ასეთი პროგნოზი გააკეთა აჭარის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ილია წულუკიძემ.

"კომისიის გადაწყვეტილება უსამართლოდ მიმაჩნია. ერთი ინგლისური ანდაზა ამბობს: სხვას რომ ნაკლზე მიუთითებ, საკუთარ თითს დახედეო. მატჩის განმავლობაში უამრავი შეცდომა დაუშვა მსაჯმა, რამაც საბოლოო შედეგზე იქონია გავლენა, მაგრამ ამაზე არავინ საუბრობს. მალე ფრანგი მსაჯები ჩამოვლენ და მათ ვაჩვენებ ვიდეოჩანაწერს. მინდა, მათი აზრი მოვისმინო, რომ ბიჭებთან და საკუთარ თავთან მართალი ვიყო, თორემ განა ამით რამე შეიცვლება", - სხდომის შემდეგ განაცხადა რამაზ სანებლიძემ. გადაწყვეტილება კი ასეთი იყო: რამაზ სანებლიძეს მიეცეს სამუდამო დისკვალიფიკაცია პირობითად. ეს იმას ნიშნავს, რომ ანალოგიურ შემთხვევაში რამაზ სანებლიძეს რაგბიდან მოკვეთა ემუქრება. "ჩვენ გავითვალისწინეთ ის გარემოება, რომ სანებლიძემ აღიარა და მოინანია თავისი საქციელი. აგრეთვე ის, რომ მას თავდებად დაუდგა "დათვების" და აჭარის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა. ამიტომაც, გამონაკლისის სახით, მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება. სხვა შემთხვევაში განაჩენი გაცილებით მკაცრი იქნებოდა", - განაცხადეს კომისიის წევრებმა.

და კიდევ, რაგბის კავშირის მაღალჩინოსანთა რიცხვი შემცირდა. ამიერიდან ილია წულუკიძე საქართველოს რაგბის კავშიროს ვიცე-პრეზიდენტი აღარ იქნება: "საქართველოს რაგბის კავშირის მისამართით ხშირად ისმის ლანძღვა-გინება. ამას მე ნამდვილად არ ვიმსახურებ. ამიტომაც გადავწყვიტე, გადავდგე თანამდებობიდან".

ფეხბურთი

# აბა, შინაურობაში მნახეთ, ვინა ვარ...

მიხეილ აბაიშვილი

*"დინამო" ალბანელებს და მსგავსი "უძლიერესი" საფეხბურთო ქვეყნების წარმომადგენლებს ვერაფერს აკლებს, თორემ შიდა სარბიელზე კვლავაც ყველა მეტოქისგან ქვას ქვაზე არ ტოვებს, რისი დასტურიცაა საქართველოს მე-15 ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელმაც ორი დღის წინ აილო სტარტი. ამ მოვლენამ, გასაგები მიზეზების გამო, ერთობ უხმაუროდ ჩაიარა. თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, ხუთი დღის წინ ალბანეთში შერცხვენილმა "დინამომ" ლიგის დებიუტანტს, ზუგდიდის "სპარტაკი-ლაზიკას" უმასპინძლა და საკუთარი გულშემატკივრის თვალში რეაბილიტაციას შეეცადა.*

**დინამო 6:0 სპარტაკი-ლაზიკა**

**დინამო:** *ზოიძე, წერეთელი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, და როჩა (ბობოხიძე, 63`), კვირკველია, გოგობერიშვილი, დარასელია (ბობოხიძე, 49`), ბურდული, მელქაძე (იაშვილი, 58`), ახალაია*
**სპარტაკი-ლაზიკა:** *ჩომახიძე, ჟვანია, წურწუმია (დონდუაძე, 73`), იმნაიშვილი, ეგაძე (ბოლქვაძე, 46`), სულაქველიძე, დოლიძე, ალადაშვილი, კვერენჩხილაძე, კოტრიკაძე, ებანოიძე*
**გოლები:** *ახალაია (18`, 24`, 57`), გოგობერიშვილი (53`, 78`), მელქაძე (46`)*


ლადო ბურდული "ლაზიკა-სპარტაკის" კარს უტევს.

ვერ ვიტყვით, რომ დიდი ანგარიშით გამარჯვებამ "დინამოს" რაიმე მორალური კმაყოფილება მოუტანა. საქართველოს ჩემპიონს "ტირანასთან" განცდილი მტკივნეული მარცხით გამოწვეული ექო, სულ მცირე, ერთ წელიწადს ანუ ევროტურნირებში მომავალ ჩაბმამდე გაჰყვება.

ივო შუშაკი ("დინამოს" მთავარი მწვრთნელი): "მთავარია, გუნდი გამოვიდეს ალბანეთში განცდილი მარცხით გამოწვეული ფსიქოლოგიური კოშმარის მდგომარეობიდან. საამისოდ დღეს პირველი ნაბიჯი გადაიდგა. "დინამოს" წლეულსაც აქვს მიზანი - საქართველოს ჩემპიონატსა და დავით ყიფიანის თასის ტურნირში გამარჯვება."

ხორვატმა სპეციალისტმა განცხადება გააკეთა საქართველოს ეროვული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მისი შესაძლო დარჩენის თაობაზეც.

"მე "დინამოსთან" კონტრაქტით ვარ დაკავშირებული. იმ შემთხვევაში, თუ კვლავაც შემომთავაზებენ ნაკრების სათავეში დარჩენას და ჩემი კლუბის ხელმძღვანელობას ამის საწინააღმდეგო არაფერი ექნება, მზად ვარ, უანგაროდ ვემსახურო ქართულ ფეხბურთს და ნაკრებში მუშაობისთვის ფედერაციას ერთ თეთრსაც არ მოვთხოვ", - განაცხადა შუშაკმა.

**დანარჩენი მატჩების შედეგები**

| | |
|---|---|
| მერცხალი (ოზურგეთი) - თბილისი | 2:1 |
| ტორპედო - ბათუმი | 2:0 |
| დილა - კოლხეთი | 1:1 |

Tour de France

# არმსტრონგი დიადების ორდენშია!

## ტრიუმფალური თაღის ფონზე ამერიკელი მეხუთედ შეამკეს დაფნის გვირგვინით

ირაკლი ბერიაშვილი

მარადიულის რა გითხრათ, მაგრამ ლანს არმსტრონგისთვის პარიზი ნამდვილად იქცა მუდმივი დღესასწაულის ქალაქად. ამერიკელის პატივსაცემად გამართულ პარადს უფრო ჰგავდა წლევანდელი ტურ დე ფრანსის ბოლო, მეოცე ეტაპი. ელისეს მინდვრებზე გამოფენილი ხალხი დიდი ამბით ეგებებოდა ახლა უკვე ხუთგზის ჩემპიონს.

ასეა ყოველთვის და ასე იყო ახლაც. მეოცე ეტაპს ფორმალურად აქვს მინიჭებული ეტაპის ნომერი. როგორც წესი, პარიზში შესვლამდე ყველა სპორტული პრობლემა ტურს მოთავებული აქვს და ეს ლამაზი, მართლაც დიდებული სვლა უფრო გამარჯვებულთა აღლუმია.

ყველაფერი ერთი დღით ადრე, 50-კილომეტრიან ინდივიდუალურ რბოლაში გადაწყდა. სამწუხაროდ, იან ულრიხისა და ლანს არმსტრონგის დუელი, რომელსაც ასე ელოდა სპორტული სამყარო, არ შედგა. მიზეზი ასეთი დონის შეჯიბრებისთვის, ცოტა არ იყოს, სასაცილო დეტალი გამოდგა. ეს რომ სწრაფდაშვების ან სლალომის ტრასაზე მომხდარიყო, კაცი იტყოდა, ცუდი ტექნიკის ბრალიაო, მაგრამ ინდივიდუალურ რბოლაში, სადაც სპორტსმენის ერთადერთი თვისება – სპეციალური გამძლეობა მოწმდება, წაქცევა უილბლობაა და მეტი არაფერი. მესამე კვირაა, წვიმა არ ჩარეულა ტურის საქმეებში. მაინცდამაინც მეცხრამეტე ეტაპისთვის უნდა მოეცალა ავდარს, მაინცდამაინც დახლართული გზა უნდა შეერჩიათ ტურის ორგანიზატორებს, მაინცდამაინც იმ, როგორც ჩანს, ზეთით გაზიპულ ასფალტს უნდა შეხებოდა ველოსიპედის ბორბლები, და ბოლოს, ას ორმოცდაათი კაციდან მაინცდამაინც იან ულრიხი უნდა ყოფილიყო ის, ვისაც ფორტუნამ ერთი, არცთუ სასიამოვნო ადგილი უჩვენა.

ამ დროისთვის გერმანელსაც და ამერიკელსაც უკვე გავლილი ჰქონდათ ნახევარი გზა. ისინი სულ ბოლოს გავიდნენ სტარტიდან და ერთიმეორის გაკონტროლების მშვენიერი შესაძლებლობაც ჰქონდათ. ულრიხმა, თავიდანვე აღებული სწრაფი ტემპის წყალობით, როგორც იქნა, მოქანცა მეტოქე და ახლა ისლა იყო გასარკვევი, ეყოფოდა თუ არა დარჩენილი კილომეტრები 59-წამიანი განსხვავების სალიკვიდაციოდ.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ულრიხის დაცემიდან რამდენიმე წამში არმსტრონგს ყურის ნიჟარაში ჩამონტაჟებული მიკრორადიომიმღებით, ცხადია, შეატყობინეს ვითარება. შეტყობინებით კი შეატყობინეს, მაგრამ ჩემპიონს მეხსიერებამ მაინც უღალატა. ვერაფრით ვერ გაიხსენა მეთხუთმეტე ეტაპი, სადაც ულრიხი კარგა ხანს ელოდა წაქცეული არმსტრონგის წამოდგომასა და გონზე მოსვლას, ვერაფრით ვერ გაიხსენა თავისივე ნათქვამი, რომ მსგავს საქციელში განსაკუთრებული არაფერია და ულრიხი ასეც უნდა მოქცეულიყოო. და რადგან ვერ გაიხსენა, ბუნებრივია, არც ტემპის დაგდება უფიქრია.


ულრიხი, არმსტრონგი და ვინოკუროვი გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე.

**ტექნიკური შედეგები**

**XIX ეტაპი. პორნიკ - ნანტი. ინდივიდუალური რბოლა. 49 კმ.**

| | |
|---|---|
| 1. დევიდ მილარი (კოფიდისი, დიდი ბრიტანეთი) | 54 წთ. 05 წმ. |
| 2. ტაილერ ჰამილტონი (CSC, აშშ) | +9 წმ. |
| 3. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | +14 წმ. |

**XX ეტაპი. ვილ დ`ავრე - პარიზი, ელისეს მინდვრები. 152 კმ.**

| | |
|---|---|
| 1. ჟან-პატრიკ ნაზონი (ჟან დელატური, საფრანგეთი) | 3 სთ. 38 წთ. 49 წმ. |
| 2. ბადენ კუკი (FDJ, ავსტრალია) | იგივე დრო |
| 3. რობი მაკ`ივენი (ლოტო, ავსტრალია) | იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ლანს არმსტრონგი | 83 სთ. 41 წთ. 12 წმ. |
| 2. იან ულრიხი (ბიანკი, გერმანია) | +1 წთ. 01 წმ. |
| 3. ალექსანდრ ვინოკუროვი (ტელეკომი, ყაზახეთი) | +4 წთ. 14 წმ. |
| 4. ტაილერ ჰამილტონი | +6 წთ. 17 წმ. |
| 5. აიმარ ზუბელდია (ეუსკალტელი, ესპანეთი) | +6 წთ. 51 წმ. |
| 6. იბან მაიო (ეუსკალტელი, ესპანეთი) | +7 წთ. 06 წმ. |

**საუკეთესო მთიელი**

| | |
|---|---|
| 1. რიშარ ვირანკი (ქვიქ სტეპი, საფრანგეთი) | 324 ქულა. |
| 2. ლორან დიუფო (ალესიო, შვეიცარია) | 187 |
| 3. ლანს არმსტრონგი | 168 |

**საუკეთესო სპრინტერი**

| | |
|---|---|
| 1. ბადენ კუკი | 216 ქულა |
| 2. რობი მაკ`ივენი | 214 |
| 3. ერიკ ზაბელი | 188 |

თუმცა, ეს უკვე წვრილმანებია. წვრილმანებს კი დრო მაინცდამაინც არ უწევს ანგარიშს. ლანს არმსტრონგი, მართალია, მეხუთე ნომრად, მაგრამ მაინც შეუერთდა იმ ოთხეულს, ვისაც ხუთჯერ აქვს მოგებული ტურ დე ფრანსი. ეს ისტორიისთვის, ამ წერილის ავტორს კი, არ ვიცი, ჩვეულების ამბავია თუ ყოველთვის რაღაც საჩხირკედელაოს ეძებს ისტორიულ ამბებში, ერთთავად წვრილ-წვრილი დეტალებისკენ მიუწევს გული.

ულრიხის წაქცევა მისი მეტოქისთვის ტურ დე ფრანსის ჩემპიონობის ტოლფასი იყო. ამიტომ მაინცდამაინც არ გაუკვირვებივარ არმსტრონგის მაღლა შემართულ მუშტსა და გაბადრულ სახეს. ნამდვილად არ მომიბრუნდება ენა იმის სათქმელად, რომ ეს გამარჯვება დაუმსახურებელი იყო, მაგრამ ამერიკელმა ამ ხუთი წლის მანძილზე როგორღაც შეგვაჩვია, რომ მის ნებისმიერ წარმატებაში განსაკუთრებული არაფერია, რომ ეს გამარჯვებები ლოგიკურია და კარგა ხანს გაგრძელდება.

ტურის დასაწყისში ვთქვი, რომ არმსტრონგს შეიძლება გაუჭირდეს წლევანდელი შეჯიბრების მოგებამეთქი. ამერიკელმა ყველაზე და, რა თქმა უნდა, ჩემზე უკეთ იცის, რა დაუჯდა ეს, რიგით მეხუთე გამარჯვება. ვფიქრობ, ვფიქრობ კი არა, დარწმუნებული ვარ, წლევანდელი ტურ დე ფრანსი მისი ყველაზე რთული, ძნელი და, ამდენად, საპატიოც იყო. არ ვიცი, ვისთვის როგორ, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ამით არმსტრონგის ხანა თავის ლოგიკურ დასასრულს მიადგა. შეიძლება ვცდები კიდეც, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ სუპერმრავალდღიანებში ხუთგზის ჩემპიონს ველარასოდეს ვიხილავთ. რა მაძლევს ამის თქმის უფლებას? მხოლოდ შედეგები და არავითარი მეექვსე გრძნობა.

ტურ დე ფრანსს, როგორც წესი, ინდივიდუალურ რბოლაში გამარჯვებულები იგებენ. ეს წინადადება სხვანაირადაც შეიძლება დაიწეროს. ტურ დე ფრანსის მოსაგებად, როგორც წესი, ინდივიდუალურ რბოლებში წარმატებით ასპარეზობაა საჭირო. ეს კანონი თუ კანონზომიერება, ერთადერთი გამონაკლისის გარდა, ათეული წლების მანძილზე ზუსტად არის დაცული. ის გამონაკლისი მარკო პანტანია, პანტანი კი ყოველგვარ წესებსა და კანონებს გარეშე დგას და, ესეც არ იყოს, გამონაკლისი ხომ წესის დადასტურებაა.

რა თქმა უნდა, ამ კანონზომიერებას ემორჩილება არმსტრონგის შედეგებიც. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო აქამდე. 1999 წლიდან მოყოლებული, სამივე თუ არა (პროლოგის ჩათვლით), ორი ინდივიდუალური ეტაპი მაინც მომავალი ჩემპიონის გამარჯვებით მთავრდებოდა.

წლეულს არმსტრონგმა პროლოგი წააგო, ამასთან, ოთხიოდე წამით, მაგრამ მაინც პირველად დამარცხდა ულრიხთან. წააგო მეორე ინდივიდუალურიც, ახლა უკვე წუთნახევარზე მეტით და, მიუხედავად იმისა, რომ ულრიხი უილბლობამ იმსხვერპლა, დამარცხდა მესამეშიც. მესამე ადგილი ჩემპიონისთვის ძალიან ცუდი შედეგია.

და კიდევ. მთელი ამ ხუთი წლის განმავლობაში არმსტრონგმა პირველად წააგო მთის ეტაპი თავის უშუალო მეტოქესთან.

ამერიკელს ძალიან უნდა და ეს თქვა კიდეც შარშან, ტურის მეოთხედ მოგების შემდეგ, რომ ექსგზის ჩემპიონობას და ყველა დროის საუკეთესო ველომრბოლელობას უმიზნებს. მაგრამ თუ წვრილ-წვრილ დეტალებსა და წვრილ-წვრილ რაღაცრაღაცებს დავუბრუნდებით და მშვიდად განვსჯით, უნდა დავასკვნათ: მეექვსე ცდა წარუმატებელი იქნება და, ჩინ-მედლების საქვეყნოდ აყრას, ისევ ისა სჯობს, შინ დარჩეს, ანდა, სულაც ტურისტად ეწვიოს ამ საოცარ, არ ვიცი, დღესასწაულსა თუ სპორტულ შეჯიბრებას, რომელსაც ტურ დე ფრანსი ჰქვია.

# იან ულრიხი მომავლის იმედადაა

ნინო პირველი

ტურ დე ფრანსის ბოლო ეტაპის შემდეგ გერმანელმა იან ულრიხმა საბოლოოდ განიმტკიცა უილბლო ველომრბოლის სახელი. ის, რაც ნანტის გზაზე მოხდა, სხვა არა იყო რა, თუ არა საშინელი უილბლობა კაცისა, რომლის საჩემპიონო ამბიციები წლეულსაც მეორე ადგილზე გასვლით დასრულდა. არადა, მთელ გერმანიას სჯეროდა, რომ ინდივიდუალურ რბოლაში იან ულრიხი მოახერხებდა ლანს არმსტრონგისათვის გასწრებას და ტურს მეორედ მოიგებდა. წლევანდელი ტურ დე ფრანსი კი ისევ ლანს არმსტრონგის ტრიუმფად იქცა. მეთხუთმეტე ეტაპისგან განსხვავებით, როცა არმსტრონგი ველოსიპედიდან ჩამოვარდა და ულრიხმა გზის გაგრძელება არ ისურვა, სანამ მისი მეტოქე გონს არ მოვიდა, მეცხრამეტე ეტაპზე "ბიანკის" კაპიტნისთვის დაცდა არავის მოსვლია აზრად. არმსტრონგმა ულრიხის ჯენტლმენო- [illegible] გის მეხუთედ გაჩემპიონებას წინ არაფერი უდგას. ამერიკელი ისევ ძველებურად თავდაჯერებული გახდა: "მიხარია, რომ დღეს რბოლა მილერმა მოიგო. ჩემთვის მთავარი სიფრთხილე იყო. როცა ულრიხმა გამისწრო, არ ავღელვებულვარ, ვიცოდი, რომ ეს უმნიშვნელო უპირატესობა იყო. საკუთარ თავს ვეუბნებოდი: "ნუ გარისკავ, არ არის საჭირო ბრძოლა წვიმასთან, ქართან, მოსახვევებთან, ტემპს ნუ დაკარგავ, ნუ აღელდები!" როცა გავიგე, რომ იანი დაეცა, მხოლოდ იმაზე დავიწყე ფიქრი, რომ მოსახვევებში მშვიდად გამევლო და არ ავღელვებულიყავი. ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა ჰქონდა, ეტაპი როგორ დასრულდებოდა. მთავარი იყო, იანს ჩემთვის არ გაესწრო. ბოლო ათ კილომეტრზე გასარისკავი აღარაფერი მქონდა და წყნარად მივედი ფინიშამდე", - განუცხადა ამერიკელმა ჟურნალისტებს, რომლებმაც ის ტურის ყველაზე სიმპათიურ ველომრბოლელად დაასახელეს და

და ასეთ ინციდენტს არ ველოდი. გზაზე ზეთი იყო დაღვრილი და იმიტომ მოვცურდი. საბედნიეროდ, იოლად გადავრჩი, ყოველგვარი მოტეხილობისა და ტრავმების გარეშე. დაცემის შემდეგ რიტმი დავკარგე, უფრო ფრთხილად დავიწყე წინსვლა. ეს ეტაპი უნდა მომეგო. სამწუხაროა, რომ ყვითელი მაისურა აუხდენელ ოცნებად დამრჩა. წაქცევის შემდეგ უკვე ვიცოდი, რომ ლანსს ველარ გავუსწრებდი, თუ ისიც ჩემსავით არ წაიქცეოდა. მე კი ასეთი გამარჯვება არაფერში მჭირდება. მეორე ადგილი ცუდი არ არის, მაგრამ მაინც ოდნავ მოწყენილი ვარ."

იან ულრიხი სულაც არ იყო ინტერვიუს გუნებაზე, მაგრამ გერმანელი ჟურნალისტები არ მოეშვნენ, მცირე კომენტარი არ იკამრეს და იმდენი კითხვა დააყარეს, "ბიანკის" კაპიტანი იძულებული გახდა, ყველაფერზე დაწვრილებით ესაუბრა.

**- თქვენი აზრით, არმსტრონგი დაუმარცხებელია?**

[illegible] ვალი ჩემია და არა არმსტრონგის.

**- თქვენ წლეულსაც საკმაოდ ძლიერი იყავით...**

- ალპებში სულაც არ ვგრძნობდი თავს ძლიერად, უფრო უკეთესადაც შემეძლო რბოლა. შარშანდელისგან განსხვავებით, წლევანდელმა წელიწადმა ტრავმებისა და ავადმყოფობის გარეშე ჩაიარა. ბევრს ვვარჯიშობდი და ეს სიამოვნებას მანიჭებდა. მომავალშიც ასე გავაგრძელებ.

**- ტურის დროს გქონდათ კონტაქტი მეუღლესთან და შვილთან?**

- სარას დაბადების შემდეგ ძალიან გამიჭირდა ტურზე წამოსვლა. სულ მასთან მინდოდა ყოფნა. ტურნირის დროს სახლში ვრეკავდი და სარას ტირილს ვუსმენდი. ველარ ვითმენ, ისე ძალიან მინდა, მისი ხელში აყვანა. საბედნიეროდ, გაბი და სარა პარიზში აპირებენ ჩამოსვლას.

**- რითი იყო თქვენთვის ეს ტური მნიშვნელოვანი?**

- მე ისევ დავბრუნდი ველოსპორტის ვარსკვლავებს შორის. ეს ჩემი უმთავრესი მიზანი იყო. ჩემი შესაძლებლობები ჯერ არ ამომიწურავს. ისეთი გუნდი მყავს, რომელსაც ასი პროცენტით ვენდობი. მომავალ წელს ჩვენ აუცილებლად მოვიგებთ ტურს!

საწყლოსნო სპორტი

# ბარსელონაში რეკორდები სოკოებივით იზრდება


უნგრელი წყალბურთელები გამარჯვებას ზეიმობენ.

გიგა ბურასაშვილი

ვიდრე ბარსელონას საწყლოსნო სახეობათა მსოფლიო ჩემპიონატი აილებდა სტარტს, შეჯიბრების ორგანიზატორებმა პირობა დადეს, ბარსელონაში დაგუბებული წყალი ყველაზე განუმეორებელ შთაბეჭდილებას მოახდენსო. ჩემპიონატის მასპინძლებმა შესაბამისი ლოზუნგიც შეთხზეს: "ბარსელონა დაუჯერებელი იქნება". ესპანელებმა პირობა შეასრულეს. საწყლოსნო სახეობათა მე-10 მსოფლიო ჩემპიონატი ყოველმხრივ წარმატებული გამოდგა, შედეგების მხრივ კი - დაუჯერებელი.

როგორი დასაჯერებელია ის ფაქტი, რომ ორმა მოცურავემ ნახევარფინალურ გაცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყაროს, ფინალში კი ორივე დამარცხდეს.

ამერიკელმა მაიკლ ფელპსმა და უკრაინელმა ანდრეი სერდინოვმა 100 მეტრზე ბატერფლაით, შესაბამისად, მეორე და პირველ ნახევარფინალურ გაცურვაში მსოფლიო რეკორდები დაამყარეს. თუ ქრონოლოგიურად მივყვებით, ჯერ უკრაინელმა გამოიჩინა თავი, როდესაც აუზის გადასერვა-გადმოსერვას 51,76 წამი მოანდომა და ავსტრალიელი მაიკლ კლიმის მიერ დამყარებული რეკორდი დაამხო. უკრაინელის რეკორდი ტალოზე შემშრალიც არ იყო, რომ ამერიკელმა სულ ხუთიოდ წუთში სერდინოვის რეკორდი დაამხო - 51,47.

ვიდრე მოვლენათა შემდგომ განვითარებას მივადევნებდეთ თვალყურს, კიდევ ორ რეკორდზეც მივუთითოთ, მით უმეტეს, რომ აქაც ერთ-ერთი მოქმედი გმირი ფელპსია.

უკრაინელისთვის რეკორდის ართმევიდან ნახევარ საათში მაიკლ ფელპსმა მორიგი რეკორდი დაამყარა, ამჯერად 200 მეტრზე კომპლექსურში. უფრო ზუსტად, წინა დღით ნახევარფინალში მის მიერვე დამყარებული მსოფლიო რეკორდი (1.57,52) ფინალში გააუმჯობესა - 1.56,04, თანაც, ისე, რომ უახლოეს მდევრებს, ავსტრალიელ იან ტორპსა და იტალიელ მასიმილიანო როსოლინოს სამი კორპუსით გაუსწრო.

უეჭველია, თუ ბარსელონის წყალში ვინმეს გამორჩევა შეიძლება, იგი მაიკლ ფელპსი უნდა იყოს. არაა გამორიცხული, ის ჩემპიონატის საუკეთესო მოცურავედაც აღიარონ. უკვე იმაზეც მსჯელობენ, რა სახელს იმსახურებს მაიკლ ფელპსი. თუ ალექსანდრ პოპოვი "ცარად" ინოდება, იან ტორპი კი - "ტორპედოდ", ამერიკელსაც ხომ უნდა შევურჩიოთ სახელიო და, "ტერმინატორად" მონათლეს.

ფელპსისა არ იყოს, "პალაუ სანტ ხორდის" აუზში უსწრაფესად გაცურა მისმა თანამემამულემ ამანდა ბერდმაც. უფრო სწორად, 200 მეტრზე ბრასით ქალთა ფინალურ გაცურვაში ამერიკელმა ჩინელი ქი სუის მსოფლიო რეკორდი - 2.22,99 გაიმეორა. თავად ჩინელმა კი მესამე ადგილი დაიკავა.

მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც მომდევნო დღეს მოხდა. უეჭველია, წინა დღის შედეგების გათვალისწინებით ფინალისთვის შემზადებულ მაიკლ ფელპსს ან უკრაინელ ანდრეი სერდინოვს, რეკორდი თუ არა, ჩემპიონობა მაინც უნდა დარჩენოდათ. პირიქით კი მოხდა. აუზის კიდეს პირველი შეეხო ამერიკელი იან კროკერი, თანაც, ისე, რომ წინა დღით დამყარებული ფელპსის რეკორდი გააუმჯობესა - 50,98. ფელპსმა და სერდინოვმა კი, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს. ამასთან, ერთმაც (51,10) და მეორემაც (51,59) ნახევარფინალში ნაჩვენებ შედეგებზე უკეთეს დროში გაცურეს.

ბარსელონაში წყალბურთელ ქალ-ვაჟთა ფინალებიც გაიმართა. ვაჟთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და იტალიის გუნდები. მათი დაპირისპირება იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ უნგრელებს ბრწყინვალე შანსი ჰქონდათ, საინაუგურაციო მსოფლიო ჩემპიონატის, ანუ 1973 წლის შემდეგ, აუზი ჩემპიონებს დაეტოვებინათ. არადა, ოთხჯერ იყვნენ ფინალში, ერთხელაც "ბრინჯაო" აქვთ მოპოვებული.

იტალიელებიც ახლოს იყვნენ იმასთან, რომ გამხდარიყვნენ პირველები, რომლებიც სამგზის მსოფლიო ჩემპიონობით მოიწონებდნენ თავს. ერთი სიტყვით, ორივე გუნდს საკმაო მიზეზი ჰქონდა იმისთვის, რომ გამარჯვებისთვის ძალ-ღონე არ დაეზოგა. თუმცა, წყალბურთის თავგადაკლული გულშემატკივრების წინაშე გაწბილებულები აპენინელები დარჩნენ. დაძაბულ და თანაბარძალოვან მატჩში, 30-წლიანი ინტერვალის შემდეგ, უნგრელები მეორედ გახდნენ ჩემპიონები. უნგრელთა და იტალიელთა დაპირისპირება დამატებით დრომდე მივიდა და საბოლოოდ 11:9 დასრულდა. მანამდე მესამე ადგილისთვის ბრძოლაში საბერძნეთისა და სერბია და მონტენეგროს შორის დუელში გაიმარჯვეს ყოფილმა იუგოსლავიელებმა - 5:3.

ქალთა შორის ჩემპიონები არიან ამერიკელები, რომლებმაც იტალიელებს სძლიეს. იტალიელი წყალბურთელები ქალთა და ვაჟთა ფინალებში ხელმოცარულნი დარჩნენ. მესამე ადგილი კი კანადელებთან ჭიდილში რუსებმა დაიკავეს.

TV-სპორტი

**ორშაბათი. 28 ივლისი**

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:20 საერთაშორისო ტურნირი. "Champions World" აშშ-ში. "მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი) - "ამერიკა" (კოლუმბია)
15:05 "FUTBOL MUNDIAL"
15:35 უკრაინის ჩემპიონატი
17:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ფლამენგო" - "სან პაულუ"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 საერთაშორისო ტურნირი. "Champions World" აშშ-ში. "ბარსელონა" (ესპანეთი) - "იუვენტუსი" (იტალია)
21:05 "ტოტალიზატორი". რუსეთის ჩემპიონატი. მე-19 ტური
21:20 უკრაინის ჩემპიონატი
23:05 საერთაშორისო ტურნირი. "Champions World" აშშ-ში. "მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი) - "ამერიკა" (კოლუმბია)
00:50 რუსეთის ჩემპიონატი.

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:00, 17:00, 19:10, 22:00 პრეს-ცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 "პოსტსკრიპტუმი"
12:45 "საჭადრაკო მიმოხილვა"
13:15 როდეო. "Bull Riders"
14:40 ჰოკეი. სეზონის საუკეთესო ტრანსლაციები. სტენლის თასი. ფინალი-2003
17:15 "დიდი რინგი"
19:25 ფრენბურთი. გრან-პრი იტალიაში. ქალები. ფინალური წრე. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 "სპორტული გლობუსი"
21:30 "რკინის ფაქტორი"
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 ფრენბურთი. გრან-პრი იტალიაში. ქალები. ფინალური წრე. პირდაპირი ტრანსლაცია
00:10 ბოულინგი. "PBA Tour"
01:00 ახალი ამბები
01:15 "რკინის ფაქტორი"

**EUROSPORT**
11:30 მოტორბოლა. გერმანიის გრან-პრი
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
13:30 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ავსტრიაში
14:30 ჩოგბურთი. "WTA ტურნირი აშშ-ში"
16:00 ბაიდარები და კანოე. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
17:30 პლაჟის ფრენბურთი
18:30 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
20:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
22:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
23:00 კრივი
00:15 კრივი
00:45 K1. მსოფლიო გრან-პრი იაპონიაში
01:15 K1. მსოფლიო გრან-პრი იაპონიაში
02:15 ახალი ამბები
02:30 მულტისპორტი
02:45 მოტორბოლა. გერმანიის გრან-პრი
03:45 მულტისპორტი
04:15 ახალი ამბები

# "საოჯახო ტოტო"-ს 26 ივლისის №18 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 000010 | 1.0 |
| 000029 | 1.5 |
| 000045 | 3.5 |
| 000062 | 20.0 |
| 000088 | 1.0 |
| 000106 | 2.5 |
| 000112 | 2.0 |
| 000145 | 3.5 |
| 000181 | 25.0 |
| 000223 | 3.0 |
| 000241 | 1.0 |
| 000292 | 2.5 |
| 000305 | 1.5 |
| 000338 | 2.5 |
| 000371 | 3.0 |
| 000418 | 1.5 |
| 000440 | 1.5 |
| 000442 | 2.0 |
| 000446 | 3.0 |
| 000459 | 4.0 |
| 000480 | 1.0 |
| 000490 | 1.0 |
| 000496 | 4.0 |
| 000497 | 1.0 |
| 000508 | 1.5 |
| 000521 | 1.0 |
| 000522 | 2.0 |
| 000571 | 1.0 |
| 000579 | 1.5 |
| 000586 | 2.5 |
| 000606 | 3.0 |
| 000609 | 1.5 |
| 000614 | 2.5 |
| 000627 | 1.5 |
| 000632 | 1.5 |
| 000649 | 1.0 |
| 000657 | 1.0 |
| 000665 | 1.5 |
| 000677 | 2.5 |
| 000678 | 3.5 |
| 000722 | 1.0 |
| 000777 | 3.0 |
| 000853 | 3.0 |
| 000916 | 1.5 |
| 000926 | 5.0 |
| 000957 | 3.0 |
| 000960 | 2.0 |
| 000962 | 1.5 |
| 000969 | 17.5 |
| 000996 | 11.0 |
| 001018 | 1.0 |
| 001058 | 4.5 |
| 001076 | 1.0 |
| 001117 | 1.5 |
| 001118 | 15.0 |
| 001148 | 2.0 |
| 001184 | 2.0 |
| 001211 | 1.5 |
| 001219 | 3.0 |
| 001236 | 1.0 |
| 001246 | 4.0 |
| 001255 | 17.5 |
| 001281 | 2.0 |
| 001293 | 1.0 |
| 001299 | 3.0 |
| 001327 | 4.0 |
| 001345 | 2.5 |
| 001357 | 2.5 |
| 001372 | 3.0 |
| 001376 | 2.5 |
| 001396 | 3.5 |
| 001427 | 2.5 |
| 001429 | 2.5 |
| 001437 | 7.0 |
| 001439 | 1.5 |
| 001447 | 1.5 |
| 001464 | 9.0 |
| 001501 | 3.0 |
| 001527 | 4.0 |
| 001532 | 1.5 |
| 001544 | 1.0 |
| 001547 | 7.0 |
| 001561 | 3.0 |
| 001578 | 3.5 |
| 001604 | 25.0 |
| 002012 | 7.0 |
| 002028 | 2.5 |
| 002042 | 2.0 |
| 002044 | 4.5 |
| 002046 | 9.0 |
| 002051 | 1.0 |
| 002056 | 3.5 |
| 002089 | 1.5 |
| 002093 | 1.5 |
| 002107 | 3.5 |
| 002113 | 1.5 |
| 002152 | 2.0 |
| 002178 | 11.0 |
| 002207 | 4.0 |
| 002233 | 1.0 |
| 002290 | 3.0 |
| 002307 | 1.0 |
| 002315 | 2.0 |
| 002331 | 7.0 |
| 002334 | 2.0 |
| 002337 | 1.0 |
| 002356 | 2.5 |
| 002366 | 3.5 |
| 002373 | 2.0 |
| 002377 | 2.5 |
| 002382 | 1.0 |
| 002392 | 3.5 |
| 002397 | 3.0 |
| 002398 | 1.5 |
| 002405 | 2.0 |
| 002408 | 3.5 |
| 002410 | 3.0 |
| 002412 | 7.0 |
| 002418 | 3.0 |
| 002419 | 1.0 |
| 002481 | 2.5 |
| 002503 | 1.0 |
| 002507 | 50.0 |
| 002519 | 3.5 |
| 002525 | 3.5 |
| 002536 | 4.5 |
| 002547 | 1.5 |
| 002558 | 2.0 |
| 002572 | 1.0 |
| 002588 | 1.5 |
| 002650 | 9.0 |
| 002795 | 1.0 |
| 002858 | 1.0 |
| 002868 | 1.0 |
| 002886 | 3.5 |
| 002894 | 2.0 |
| 002912 | 1.0 |
| 002963 | 2.5 |
| 002977 | 1.0 |
| 002979 | 17.5 |
| 003030 | 4.0 |
| 003040 | 2.0 |
| 003062 | 2.0 |
| 003067 | 2.5 |
| 003091 | 2.0 |
| 003119 | 1.0 |
| 003137 | 2.5 |
| 003171 | 1.0 |
| 003214 | 2.0 |
| 003231 | 1.0 |
